პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეზ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

№ 113 კვირა 20 მაისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 40,000 მან.

№ 113

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-2 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლიურის ხელმოწერის ფასი: საქართველოში 1.000.000 მ. განცხადება 10 ტ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

დღიური

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ნოტით მიმართა ლოზანის კონფერენციის პრეზიდიუმს და შვეიცარიის მთავრობას ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ. ნოტა მკვლელობისათვის პასუხისმგებლად სთვლის შვეიცარიის მთავრობას.

სრულიად უკრაინის აღმასკომმა ნოტით მიმართა ინგლისს. ნოტაში აღნიშნულია, რომ მეგობრული ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისს და რუსეთს შორის დაღუპავს ინგლისის და უკრაინის მრეწველობას.

ამხ. კრასინი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის მთავრობასთან.

ორშაბათს 21 მაისს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია

თბილისის საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა „ფაბკომების“, ქარხკომების და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგში:

1. ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. კომუნალურ განყოფილების გამგის მოხსენება განყოფილების მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

კრ. 392 4—3

პრეზიდიუმი.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთ.

ამხანაგებო და მოქალაქენო!
მუშებო და გლეხებო!

თქვენ, ჯანსაღნო და შრომის უნარის მქონენო, თქვენ, ჩაცმულ-დახურულნო და მაძღარნო, თქვენ მოგმართავს მუშურ-გლეხური მთავრობა საბჭოების თქვენი ხელისუფლება მოწოდებით: გაიღვიძეთ, ამოძრავდით და მიაქციეთ თქვენი თვალყური, მთელი თქვენი ყურადღება ამ დამკვრელ კვირის განმავლობაში 20-დან 27 მაისამდი თქვენს ძმებს, რომლებიც დაზარალდენ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის ფრონტებზე. მათ, დასახიჩრებულმა მეომრებმა, სამოქალაქო ომის მსხვერპლებმა დაიცვეს პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოების ხელისუფლება როგორც შინაურ მჩაგვრელებისაგან— მემამულეების, ფაბრიკანტების და ჩარჩებისაგან, ისე საერთაშორისო იმპერიალიზმის გარეშე მტაცებლებისაგან—ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალის ყაჩაღებისაგან, რომლებიც ხელს იშვერდენ ჩვენი ნავთის, ჩვენი შავი ქვის და ჩვენი ქვეყნის სხვა სიმდიდრისაკენ.

იუდა-გამცემლების: ნ. ნ. ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, რამიშვილი და სხვა მსგავს თაღლით-მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების,— დახმარებით საერთაშორისო კაპიტალს სურდა გადაექცია ჩვენ ახალ ირლანდიათ, ან უბედურ ინდოეთად, ან მაროკოთ. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების მუშებმა და გლეხებმა დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო და ჩვენი საზღვრებიდან გადარეკეს საერთაშორისო იმპერიალისტები ლაქია მენშევიკებ, დაშნაკებ, მუსავატელებ და სხვა მსგავს კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად.

ეს მოხდა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის წყალობით, რომლის ბევრი მეომარი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. მაგრამ ბევრი, ვინც ცოცხალი გადარჩა, დაგვიბრუნდა ჩვენ ძლიერ დაზიანებული, დასახიჩრებული, უხელო და უფეხო, ნერვებ აშლილი და დაავადმყოფებული. მუშურ-გლეხური მთავრობა აკეთებდა და აკეთებს ყველაფერს, რაც კი შეუძლია მას მათი ცხოვრების და ჯანმრთელობის შესამსუბუქებლად. მაგრამ მას არ შეუძლია სავსებით განკურნოს ის ჭრილობები, რომელიც მიაყენეს ჩვენ ძვირფას დასახიჩრებულებს, რადგან ის აწარმოებს ველურ იმპერიალისტების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენას.

აი რათ მოგიწოდებს მუშურ-გლეხური მთავრობა თქვენ, მოქალაქენო, განურჩევლად სქესისა, ამოძრავდით, გაიღვიძეთ, არ დარჩეთ ყრუ ჩვენი დასახიჩრებულების საჭიროებებისადმი და გაუწოდეთ მათ დახმარების ძმური ხელი. მიეცით ყველაფერი, რაც კი შეგიძლიათ ჩვენი დასახიჩრებული ძმებისათვის, რომლებიც ასე დაზარალდენ ომისა და რევოლიუციისაგან.

მიეცით მათ, სიმშილისაგან, სიცივისაგან და ომის ყველა საშინელებისაგან განაწამებთ, საშვალება იგრძნონ თქვენი მადლობა; მიეცით მათ თავისი საცვლების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ნაწილი; მოიქეცით ისე, რომ ისინიც შეეზიარონ სოციალისტური საზოგადოების მხნე ცხოვრების ბედნიერებას, რომელსაც ხელმძღვანელობენ მუშები და გლეხები.

დეე ნუ გაძუნწდება თქვენი ხელი და ნუ დაჩლუნგდება თქვენი გრძნობები.

სამუდამო სირცხვილი იმათ, რომელიც დაივიწყებს თავის წმინდა მოვალეობას მშრომელი მასების საქმისათვის ბრძოლაში დაზარალებული ძმების წინაშე.

დაეხმარეთ დასახიჩრებულებს.

დეე არ დარჩეს არავინ ისეთი, რომელიც 20—27 მაისის დამკვრელი კვირის განმავლობაში არ შეიტანს თავის წვლილს ომისა და რევოლიუციის დასახიჩრებულთა ტანჯვის შესამსუბუქებლად.

გაუმარჯოს ჩვენ ძმებს—დასახიჩრებულებს!

გაუმარჯოს ყველა მოქალაქეებს, რომელიც იხდიან თავის მოვალეობას დასახიჩრებულთა წინაშე!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას!

ამიერ-კავკასიის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრ-აღმასკომის მდივანი
პ. საბაშვილი.

ჩათახის ქარხნის გახსნა

დღეს ზეიმია სამეურნეო ფრონტზე! დღეს საბჭოთა ხელისუფლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვების მოწმე ვხდებით! ამუშავდა ჩათახის ქარხანა, საძირკველი ჩაეყარა რკინისა და თუჯის წარმოებას საქართველოში, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა გაიზარდოს ფართო მასშტაბით ამოქმედდეს. ქარხანა უზრუნველყოფილია მადანის საკმაო რაოდენობით, რომელიც უხვად მოიპოვება მის ახლო მდებარე რაიონებში.

მადნების ეს წყარო დიდი ხნიდან არის ცნობილი, ბატონიშვილ ვახუშტის სიტყვით ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მდინარე ბოლნის ჩაის ხეობაში პრიმიტიული გზით ხდებოდა რკინის ამოღება. საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის გამეფების შემდეგ მრავალი პირი, უმთავრესად უცხოელები ცდილობდენ ამ წარმოებისთვის ხელის მოკიდებას; 1862 წელს ერთმა მათგანმა, სახელდობრ ლიმმა კიდეც გახსნა თუჯის და რკინის ქარხანა. სხვადასხვა მიზეზების გამო ქარხანას დიდი ხნით არ უმუშავნია და თითქმის 50 წელი გადის, რაც ის უმოქმედოთ სდგას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ აღდგენას შეუდგა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. მუშაობას ქარხნის აღსადგენად ენერგიულათ და შეგნებულათ მოკიდეს ხელი მუშებმა. მუშაობა დაიწყო 1922 წ. აპრილში და ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო განადგურებულ, დადუმებულ და სხვადასხვა დროს გაძარცულ ქარხნის აღდგენა. შენობები დანგრეული იყო, მანქანები დაჟანგულ-გაფუჭებული. მუშების თავგანწირულმა მუშაობამ მ. ტოროშელიძის, რომელიც იმ დროს საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობდა ნ. კიკნაძის და ბენედიქტე კალანდაძის ენერგიული ხელმძღვანელობით შესაძლო გახდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ახმაურებულიყო და გამოცოცხლებულიყო თითქმის ნახევარი საუკუნით დადუმებული ქარხანა. ამ მუშაობაში დიდ მონაწილეობას ღებულობდენ სპეციალისტ ინჟინრები ქურდიანი, კისელიოვი და იაშვილი. მხოლოდ ყველა ზევით დასახელებულ პირთა მუშებთან შეთანხმებული მუშაობით მოხდა დაწყებული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება; მომზადდა ნიადაგი დღევანდელი ზეიმისთვის. ჩათახი აღსდგა, ჩათახის ქარხნის ღუმელები ყოველდღიურათ მოგვცემენ ასეული ფუთობით ლითონს, რომელიც ესე სჭირია უკანასკნელ დროს უკვე აღორძინების გზაზე შემდგარ სახალხო მეურნეობას.

ქარხანა აღსდგა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა არის გასაწევი მისი ევროპიულ ნიადაგზე, ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად მოწყობისათვის. უმთავრესი კი გაკეთებულია, და ისიც მეტად ძნელ, პირდაპირ აუტანელ პირობებში; შემდეგ მისი განვითარება, გაფართოება უკეთეს პირობებში მოხდება; საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც უაღრესათ დაინტერესებულია სახალხო მეურნეობის აღორძინებაში მზრუნველობას არ მოაკლებს მას.

ამიერ-კავკასიის ლითონის მრეწველობას ფართო გასაქანი ეძლევა, მძიმე ინდუსტრიას მტკიცე საფუძველი ეყრება. ჩათახის აღორძინება ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის აღორძინებას, რადგანაც ამიერიდან შესაძლო ხდება სასოფლო სამეურნეო იარაღების ადგილობრივ დამზადება. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს გლეხების კავშირს მუშებთან. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას პოლიტიკურ ფრონტზე ემატება სამეურნეო ფრონტის გამარჯვებაც. ქება და დიდება მათ, ვინც მოამზადა ნიადაგი დღევანდელი ზეიმისთვის, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი გამარჯვებისთვის!.

პროლეტარული რევოლიუციის დროშები შეღებილია დასახიჩრებულთა სისხლით. დაეხმარე მათ მათი ცხოვრების მძიმე პირობებში.

დასახიჩრებულს უნდა დაეხმარო იმიტომ, რომ მან თავის მკერდით დაიცვა შენი მონაპოვარნი და ახლა შრომის უნარს მოკლებულია.

დასახიჩრებულმა რევოლიუციას შესწირა ნახევარი სიცოცხლე. ნუ თუ შენ არ მისცემ მას შენი დღიური ხელფასის ნახევარს მაინც.

აღმშენებლობითი მუშაობა აჭარისტანში

მიწის საკითხის შემდეგ გლეხის ერთ-ერთ უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს გზების და ხიდების საკითხის გადაჭრა. 1921 წ. 10 იანვარს მომხდარ პირველ ყრილობაზე გაისმოდა ხმები ხალხში: „მიწა, გზა და ხიდი“-ო. როგორც ამ წელს, აგრეთვე შემდეგი 1922 წელშიც მრავალი მსჯელობა, რეზოლიუციები, დადგენილებები და სხვა გამოტანილა ამ საკითხის გამო, მაგრამ თითქმის არაფერი გაკეთებულა. მართალია ამის უმთავრესი მიზეზი იყო უსახსრობა და სხვა დაბრკოლებები ტეხნიკური საშუალებების უქონლობის მხრივ, მაგრამ შესაძლებელი იყო ოდნავ მაინც გადადგმა ნაბიჯის ამ დარგში თუნდაც საკუთარის მცირე საშუალებით და ინიციატივით, რადგან გლეხობა მართლაც დიდ გაჭირვებას განიცდიდა. აჭარის ზოგიერთ მაზრებში და თემებში თითონ ხალხის ინიციატივით ხდებოდა მუშაობა გზებისა და ხიდების შესაკეთებლათ, მხოლოდ საჭირო იყო მთელი აჭარისტანის მასშტაბში გარკვეული საალმშენებლო გეგმით ენერგიული მუშაობა. ამიტომაც აჭარისტანის საბჭოთა მეორე და მესამე ყრილობაზე, გლეხთა დეპუტატების მიერ იქნა გამოთქმული დიდი საყვედური ამის შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ გლეხს უფრო აინტერესებს მხოლოდ ის, რაც მასთან ახლო არის, ის—რეალისტია, მას არ უყვარს იდეაზე ან თეზისებზე ლაპარაკი.

აჭარელი გლეხი განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის გზების, ხიდებისა და მიწის მხრივ ამ საკითხების მოგვარება გააუმჯობესებს მის მდგომარეობას, აღადგენს მეურნეობას და ეკონომიურ ცხოვრებას. ამიტომ საალმშენებლო დარგში მუშაობას მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მთავრობის 1923 წ. პრაქტიკული მუშაობის პროგრამაში.

საჭირო იყო ამ დარგში მომუშავე აპარატის (სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი) რეორგანიზაცია და ეს მოხდა კიდეც; ის გამოცალკევებულ იქნა უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოდან და გარდიქმნა სახელმწიფო აღმშენებლობის სამმართველოდ და პრაქტიკული მუშაობის განხორციელების მხრივ ექვემდებარება აჭარისტანის სახკომსაბჭოს. სამი თვის პრაქტიკამ დაგვარწმუნა ამ რეორგანიზაციის მოხდენის მიზანშეწონილებაში. შემდეგ იქნა შემუშავებული და დამტკიცებული გარკვეული გეგმა აჭარისტანის მაზრებისა და თემების საბჭოთა ყრილობის მიერ. ასეთი გეგმა წინეთ არ ყოფილა. აჭარისტანში აღმშენებლობითი მუშაობა არ არის მიმართული, განვითარებული ტრანსპორტების შექმნისაკენ, (რკინის გზები, ტრამვაი და სხვა) არამედ ეს მუშაობა გამომდინარეობს რეალურ მდგომარეობიდან და ამიტომ ჩვენი საალმშენებლო პოლიტიკა დამყარებულია უმთავრესად გზების და ხიდების გაკეთებაზე.

1923 წლის ჩვენ პროგრამაში შედის რვა ახალი გზის აშენება.

ზემო აჭარის მაზრაში: 1. დიდი აჭარა-ღორჯომი 2. ფუდო-სარეჩაი, 3. შუახევი-უჩამფა, 4. ხიჭაური-ჭვანა.

ქვემო აჭარის მაზრაში: 5. ქედა-მერისი, აჭარის-წყლის მაზრაში, 6. აჭარის-წყალი-ჩხუნეთი, ქობულეთის მაზრაში—7. ჩაქვის თავის გზა-ჩაქვი-ჩაქვისთავი, 8. ქობულეთი-ჭახათი—სულ 102 ვერსტი შემდეგ ოთხი არსებული გზატკეცილების შეკეთება:

1) ბათომ-ახალციხის გზა—135 ვ., 2. ბათომ-ქობულეთის გზა—26 ვერ., 3. ბათომ-სარფის გზა—15 ვ. და 4. აჭარის წყალი-მარადიდი 6 ვერსტი.

ხუთი ხიდის: 1) ქედის, 2) შუახევის, 3) სხალტინა, 4) ჩაქვის-თავის და 5) ქობულეთის. ყველა ზემო ჩამოთვლილი ახალი გზების გაკეთება, ძველი გზების შეკეთება და ხიდების გაკეთება აჭარისტანის საბჭოთა მე-2 ყრილობის მიერ დაევალა აჭარისტანის მთავრობას და უნდა იქნას მოყვანილი სისრულეში 1923 წლის ბოლომდე.

რაც შეეხება დანარჩენ გზებს და ხიდებს, რაც გამორკვეულია ადგილობრივი მაზრისა და თემების საბჭოების მიერ, ასეთების შეკეთება და გაშენება შედის ადგილობრივი აღმასკომების პროგრამაში და უნდა გაკეთდეს ადგილობრივი ინიციატივით, მაგრამ აჭარისტანის ცენტრალურმა მთავრობამ უნდა გაუწიოს მათ დახმარება შეძლებისდაგვარად.

ასეთია ჩვენი ამ დარგში მუშაობის სქემა.

ზემო აღნიშნული 8 ახალ გზაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. რადგან აჭარისტანის აღმშენებლობის მთავარ სამმართველოს საწყობებში ტეხნიკური იარაღი ძლიერ ცოტა აღმოჩნდა, რამაც მუშაობას ძლიერ შეუშალა ხელი. ჩვენ მიერ ახლად შეძენილი ლაფათქები და კირკები საკმაო არ შეიქნა და ამიტომ ჩვენ ვისესხეთ რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოდან რამოდენიმე ასი კირკა და ლაფათქა; ამის გარდა ამ დღეებში საქართველოს უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭოს გამგემ ამხ. ავაქოვმა აღგვითქვა 500 ლაფათქის და 100 კირკის ჩვენთვის გადმოცემა, რაც შეგვაძლებინებს ამ რვა გზის საჩქაროდ გაკეთებას. ეს ახალი გზები არის გზატკეცილების ტიპის და დიდი მნიშვნელობა ექნება აჭარისტანში სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის.

ამ მუშაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზედ.

თვენახევრის წინ ხულოში ერთ მიტინგზე ერთმა მოხუცებულმა გლეხმა სთქვა: მე ვიცი წარსული ისტორია; ჯერ კიდევ ძველად აჭარა თურქების ხელში რომ იყო ჩვენ ზემო აჭარიდან ბათომში ჩავდიოდით 6 დღეში და ჩვენს საქონელს ვზიდავდით ზურგით ბილიკ-ბილიკ მაშინ აჭარაში ეს გზატკეცილები არ იყო (ე. ი. ბათომ-ახალციხის გზა) ეს შოსსე გააკეთა ნიკოლოზმა და ამის შემდეგ ორ დღეში ჩავდიოდით ბათომში და საშუალება გვქავს ტაჩკებითაც გადავზიდოთ ის რაც დაგვჭირდება. ამ გზის გაკეთებისთვის ჩვენ დიდი მადლიერი ვიყავით ნიკოლოზის. 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ დღემდე აჭარაში ახალი არც გზა არც ხიდი არ გაკეთებულა; ეხლა კი ვხედავთ, რომ ზემო აჭარაში ოთხ ადგილზე (ღორჯომი, ჭვანა, უჩფა და სხალთა) კეთდება ახალი გზები და კარგად მესმის და სრულებითაც დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენისთანა გაჭირვებული ხალხის ხელისუფლებაა და მასთან ისიც ვიცი, რომ ეს გზა ნიკოლოზმა იმიტომ კი არ გააკეთა, რომ ჩვენი მდგომარეობა გაემუჯობესებია, არამედ ეს მას სჭიროდა იმპერიალისტური საოკუპაციო მიზნებისათვის“.

მთელმა ხალხმა ერთხმათ იგრიალა: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს ფუხარათა ხელისუფლებას“-ო.

ამ მოხუცებულის სიტყვები არ უნდა ჩაითვალოს უბრალო სიტყვებათ ის საყურადღებოა, როგორც ხალხის გულის ნადების გამომხატველი.

ძველ შესაკეთებელ გზებზე და და განსაკუთრებით ბათომ-ახალციხის გზაზე დიდი მუშაობა სწარმოებს ამ ჟამად ამ გზაზე მუშაობს 40 ქვისუსტა და 400 აჭარელი მუშა.

ქობულეთის ხიდის გაკეთება უკვე დამთავრდა და დანარჩენი 4 ხიდის წინასწარი მუშაობისათვის საჭირო მასალები მზადდება ადგილობრივათ. მთელ აჭარისტანში გაჩაღებულია აღმშენებლობითი მუშაობა და ამ ენერგიულ მუშაობაში დიდ მონაწილეობას ღებულობს თვით მცხოვრებლები. ეს გარემოება განსაკუთრებულ დაახლოებას შექმნის აჭარისტანის მუშებსა და გლეხებს შორის. იზრდება და მასთან თანდათან უაღრესი სიმპატიას იჩენს ხალხი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. აქამდე ცენტრიდან საალმშენებლო მუშაობისათვის მივიღეთ მხოლოდ 10.000.000.000 მან. ამიერ-კავკასიის ნიშნებით; აპრილის კვარტალის ბიუჯეტზე არის დამოკიდებული ჩვენი ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება და მე იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ აჭარისტანი იქნება დაკმაყოფილებული, როგორც ფინანსიური აგრეთვე ტეხნიკურის მასალების მხრივ.

ჩვენ არ უნდა შევხედოთ ვიწრო თვალსაზრისით აჭარისტანში წარმოებულ მუშაობას ყოველ დარგში, ისე თითქოს ყველაფერი ეს მარტო აჭარისტანისთვის ხდებოდეს, არამედ ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის, რომ ყოველივე ამას აქვს უაღრესი მნიშვნელობა მთელ აღმოსავლეთისათვის.

თ. ხიმშიაშვილი.

რადიო-დეპეშები

ჩვენი ნოტა შვეიცარიას

მოსკოვი. 18 მაისი. 16 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა ნოტა გაუგზავნა შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს პოლიტიკურ დეპარტამენტის უფროსს. ნოტაში ნათქვამია: **პასუხისმგებლობა ეცემა შვეიცარიის ხელისუფლებას.**

ის ცნობები, რომელიც ხელთ აქვს რუსეთის მთავრობას, ნებას აძლევს მას განაცხადოს, რომ პასუხისმგებლობა შვეიცარიის ხელისუფლების მოქმედების შესახებ, რომელსაც შედეგათ ამხ. ვოროვსკის მოკვლა მოჰყვა, ეცემა შვეიცარიის მთავრობას.

არ ყოფილა მიღებული ზომები დელეგაციის დასაცავად.

დაღუპულ ვოროვსკის უკანასკნელ ცნობების მიხედვით დამტკიცებულია, რომ შვეიცარიის მთავრობამ არავითარი ზომები არ მიიღო რუსეთის დელეგაციის დასაცავად, მიუხედავათ იმისა, რომ მის მიმართ არა ერთხელ ყოფილა გამოთქმული მუქარა შვეიცარიის საზოგადოების ბოროტმოქმედ ელემენტების მიერ.

რუსეთის დელეგაცია მიწვეული იყო ლოზანაში.

შვეიცარიის ხელისუფლებების ასეთი მოქმედება მით უფრო გაუგებარია, რომ რუსეთის დელეგაცია ჩავიდა ლოზანაში სპეციალური მიწვევის თანახმად, რომელიც მან კონფერენციაზე მიმწვევ სახელმწიფოებისაგან მიიღო. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჩიჩერინმა კონფერენციის სეკრეტარიატს განუცხადა, რომ მისი წასვლის შემდეგ რუსეთის დელეგაცია დარჩება ამხ. ვოროვსკის სახით. ამიტომ უკანასკნელს სრული უფლება ჰქონდა დარჩენილიყო ლოზანაში კონფერენციის დამთავრებამდე.

ვიზაზე უარის თქმა—ს. ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ მიმართული აქტია.

ამიტომ შვეიცარიის მთავრობის მიერ ლოზანაში მიმავალ დიპლომატიურ კურიერებისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმაში რუსეთის მთავრობა ხედავს საერთაშორისო უფლების ელემენტარულ მოთხოვნილებების დარღვევას და მას უცქერის როგორც რუსეთისა, უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აქტს ამ უარის თქმამ, რომელმაც რუსეთის დელეგაცია გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა, შექმნა ის ატმოსფერა, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა ამხ. ვოროვსკის მოკვლას.

შვეიცარიის მთავრობა შეგნებულად ხელს უწყობდა მკვლელობას.

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, რუსეთის მთავრობა აღნიშნავს შვეიცარიის მთავრობის იმ მძიმე დანაშაულისათვის შეგნებულად ხელის შეწყობას, რომელსაც უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელის მოკვლა წარმოადგენს.

ჩვენ მოვითხოვთ გამოძიებას

რუსეთის მთავრობა, იმ მძიმე პასუხისმგებლობის გამო, რომელიც შვეიცარიის მთავრობას აწევს, დარწმუნებულია, რომ შვეიცარიის მთავრობა აღნიშნულ ბოროტმოქმედების სასტიკ გამოძიებას მოახდენს, სასამართლოში მისცემს დანაშაულისათვის ხელის შეწყობაში დამნაშავე მოხელეებს და არ დააყოვნებს პასუხი გასცეს რუსეთის მთავრობას, მის მიერ ნოტაში აღძრულ ყველა საკითხებზე.

ჩვენი ნოტა ლოზანას კონფერენციის პრეზიდიუმისადმი

ანტანტა პასუხისმგებელია მკვლელობისათვის.

მოსკოვი. 18 მაისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა გაუგზავნა ლოზანას კონფერენციის პრეზიდიუმს ნოტა, 14 მაისის თარიღით. რუსეთის მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, აცხადებს, რომ მიუხედავად იმ დანაშაულებისა, რომელიც მიუძღვის შვეიცარიის მთავრობას, პასუხისმგებლობა შვეიცარიის მთავრობის მიერ იმ ზომების მიუღებლობისათვის, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ბოროტმოქმედების თავიდან აცდენა, ეკუთვნის აგრეთვე იმ სახელმწიფოებსაც, რომლებმაც მოიწვიეს კონფერენცია. საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ნიშნავს იმას, რომ მომწვევი სახელმწიფოები კისრულობენ პასუხისმგებლობას კონფერენციის დელეგატების მშვიდობიანობის დაცვაში. მაგრამ, უდროვოდ დაღუპულ ვოროვსკის მიერ გადმოცემულ ცნობებიდან სჩანს, რომ შვეიცარიის მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობდა რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დელეგაციის დასაცავად, მიუხედავად მრავალი მუქარისა, რომელიც მიმართული იყო მის წინააღმდეგ.

ვოროვსკი იყო სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი.

ყველა ამ გარემოებას მით უფრო სერიოზულად უნდა ვუცქიროდ, რომ ამხ. ვოროვსკის, როგორც დელეგატის, ფუნქციები სრულ ძალაში რჩებოდენ, ვინაიდან დიდი-ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობების მიერ რუსეთის მთავრობის მიწვევა ლოზანას კონფერენციაზე შეეხებოდა კონფერენციის მუშაობის მთელ პერიოდს.

იმის გამო, რომ კონვენცია სრუტეების შესახებ ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი, არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კონფერენცია დამთავრდება საზავო ხელშეკრულება ხელის მოწერით და საკითხი სრუტეების რეჟიმის შესახებ უნდა ჩაითვალოს ღიათ, მით უფრო, რომ რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დელეგაციების მხრივ არავითარ განცხადებას კონვენციაზე ხელის მოწერის შესახებ ადგილი არ ჰქონია, თუნდაც მიტომ, რომ საკითხი მის მიერ ხელის მოწერის შესახებ არ ყოფილა დასმული. ამ რიგად რუსეთის დელეგაციის წევრები სარგებლობდენ იმავე უფლებებით, რომელიც ეკუთვნოდა მათ, როგორც მათი სახელმწიფოების სრულუფლებიან დელეგატებს საერთაშორისო-პოლიტიკურ კონგრესზე.

ანტანტა სდუმდა.

დუმილი მომწვევ სახელმწიფოების, რომელთაც არავითარი ზომები არ მიუღია იმისთვის, რომ დაევალებიათ შვეიცარიის მთავრობისათვის რუსეთის დელეგაციის დაცვა, მათ აკუთვნებს პასუხისმგებლობას მომხდარ ბოროტმოქმედებაში. ყველა ამ გარემოების გათვალისწინების შემშემდეგ უნდა ვაღიაროთ, რომ მძიმე პასუხისმგებლობა მომწვევ სახელმწიფოების კიდევ ძლიერდება, ვინაიდან მათ ეკუთვნის ლოზანას კონფერენციის საქმეთა ხელმძღვანელობა.

ჩვენ ვიცით რა როლს თამაშობდა ანტანტა ამხ. ვოროვსკის მოკვლაში.

რუსეთის ერებს კარგად აქვთ გათვალისწინებული ის, თუ რა როლი ითამაშეს დასავლეთის სახელმწიფოებმა ამ მკვლელობაში.

აცხადებს რა ღრმა პროტესტს მიმწვევ სახელმწიფოების ასეთი მოქმედების გამო, რუსეთის მთავრობა უფლებას იტოვებს გამოიტანოს აქედან სათანადო დასკვნები.

რუსეთის პასუხის შემდეგ

რუსეთის პასუხის შემდეგ

ფინანსისტების ზეგავლენით

ქრისტიანია. 16 მაისი. ნორვეგიის გაზეთის „ავენდ-პოსტის“ კორესპონდენტი იმ ფაქტს, რომ ინგლისის მთავრობა მზად არის მოელაპარაკოს კრასინს, ხსნის მსხვილი ფინანსიური წრეების ზეგავლენით, რომლებიც წინააღმდეგი არიან კავშირის გაწყვეტის.

კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტის საფრთხე აცილებულია

პარიზი. 16 მაისი. საფრანგეთის პრესა ყურადღებით ადევნებს თვალყურს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის განვითარებას. პრესის საერთო აზრია, რომ დაუყოვნებლივ კავშირის გაწყვეტის საფრთხე აცილებულია.

საფრანგეთი ფიქრობს შუამავლობა იკისროს

პარიზი. 16 მაისი. საფრანგეთის პრესის ტონი რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის შესახებ, საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ **საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში მოხდა აზრის ერთგვარი შეცვლა, რომელთაც, როგორც სჩანს, სურთ საფრანგეთმა შუამდგომლობა იკისროს.**

ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ერვე საჭიროდ სთვლის, რომ ინგლის-რუსეთის მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს მესამე პირმა.

ინგლისის პრესა ოპოზიციის შესახებ

ლონდონი. 17 მაისი. ბურჟუაზიული გაზეთები გააფთრებით ესხმიან თავს ლოიდ ჯორჯსა და მაკდონალდს, თემთა პალატაში მათი ოპოზიციონური გამოსვლების გამო.

„ვესმინსტერ გაზეთი“ კი წინააღმდეგ, მუშათა პარტიას უკიჟინებს სისუსტეს რუსეთის საკითხის განხილვის დროს. „პარტია,—სწერს გაზეთი, თითქო ორ ენაზე ლაპარაკობს, ის ხან რუსეთთან კომერციული ხელშეკრულების მომხრეა, ხან კი ომს უჭერს მხარს“. გაზეთს იმედი აქვს, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ დაიცავს დაჟინებით კერზონის ულტიმატუმს და კრასინთან მოლაპარაკების შემდეგ მოიწვევს კონფერენციას სადაო საკითხების განსახილველად.

ლორდები თათბირზე მიდიან.

ლონდონი. 19 მაისი. ინგლისის პრესა უკეთებს კომენტარიებს ბალდვინის უკანასკნელ გამოსვლას თემთა პალატაში და მას თვილსაჩინოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ ცდილობს გააუქმოს ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება და მზად არის წავიდეს დათმობაზე. მასთან ერთად ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში კაბინეტი, ცხადია, შეეცდება მისი მუხლების დაცვას.

ყოველმხრივი განხილვა.

ლონდონი. 15 მაისი. ინგლისის გაზეთებს მოჰყავთ ციტატები საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელების სიტყვებიდან, რომლებიც მათ წარმოსთქვეს ინგლისის ულტიმატუმის განხილვის დროს. ამ ციტატებს ყველა გაზეთები უკეთებენ ყოველ მხრივ კომენტარიებს.

საბჭოთა დიპლომატია სადარაჯოზე.

ლონდონი. 19 მაისი. აქ ფიქრობენ, რომ კრასინმა კერზონთან თათბირის შემდეგ გადასცა მოსკოვს მოხსენება ამ თათბირის შესახებ. „ტაიმსი“-ს აზრით მოელიან მოსკოვიდან ინსტრუქციებს.

ხმები ბონარ ლოუს გადადგომის შესახებ.

ბერლინი. 19 მაისი. განახლდა ხმები ბონარ ლოუს გადადგომის შესა-

---

ზრუნვა დასახიჩრებულებზე უნდა გაგრძელდეს არა ერთი კვირის, არამედ წლობის განმავლობაში.

შეეკითხე შენ სინიდისს, მოვალე ხარ თუ არა დაეხმარო დასახიჩრებულს.

დასახიჩრებული გმირია, რომელიც კონტრ-რევოლიუციის ტყვიამ გამოიყვანა წითელი რიგებიდან. შეუძლებელია დაუშვათ, რომ მან იმათხოვროს.

საბჭოთა სახელმწიფოს არ შეუძლია სავსებით უზრუნველყოს დასახიჩრებულები. მას უნდა დაეხმარონ ყველა მშრომელები.

ომში დასახიჩრებულთათვის

20-დან 27 მაისამდე საქართველოში მოწყობილ იქნება კვირეული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა დასახმარებლად.

საიდან წარმოსდგენ ინვალიდები და რატომ უნდა მივაქციოთ ჩვენ მათ ყურადღება. გაიხსენეთ ომები, რომელსაც აწყობდა თვითმპყრობელი მთავრობა იმპერიალისტური მიზნით; გაიხსენეთ სასწრაფო და სასტიკი მობილიზაციები; გაიხსენეთ ისიც, თუ რა ცრემლით ვაცილებდით მათ; გაიხსენეთ, რომ ყველა ისინი მოხსნილი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნებიდან, მოწყვეტილი გუთან-თოხს და გაგზავნილი შორს, ბრძოლის ველზე, სადაც ზოგნი სულ ილუპებოდნენ და ზოგნიც კიდევ ჰკარგავდენ ხელს, ფეხს და საერთოდ კი შრომის უნარს.

ახლა გავიხსენოთ სამოქალაქო ომები, რომელიც ჩვენ მოგვახვია ძალათ თავზე მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებმა და რომელმაც გასტანა 3 ნახ. წელიწადი და დაგვიტოვა რამოდენიმე მილიონი ინვალიდები. აი საიდან წარმოსდგებიან ინვალიდები.

მათზე ზრუნვა უნდა იკისროს მშრომელმა ხალხმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა, ვინაიდან ინვალიდების არმია შესდგება ჩვენი ძმების, მამების და შვილებისაგან, ისინი არიან ჩვენი სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი.

ამდენ ხანს ინვალიდები დახმარებას ღებულობდენ სხვადასხვა სახით, და ძლიერ უმნიშვნელოს, ხელისუფლების ორგანოებიდან. ეს დახმარება, ვამბობთ იყო ძალზე მცირედი იმიტომ, რომ ხელისუფლების ყურადღება იყო მიქცეული ჯერ სამხედრო და შემდეგ დანგრეული და გინიავებული მეურნეობის აღდგენის ფრონტისაკენ.

ამიერიდან იცვლება და უნდა შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულება ინვალიდებისადმი. ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ და მათი მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ ეს კი შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა დაგროვდება საგრძნობი თანხა.

მუდამ წოწიალმა, საარსებო ლუკმა პურის ძებნაში, ინვალიდები გადაგვარების და გადაშენების გზაზე დააყენა, განა მარტო ინვალიდებია ასეთ უმწეო მდგომარეობაში? განა მოიპოვება ისეთი ინვალიდი, რომელსაც არ ჰყავდეს ან არ ჰყავდა შესანახი-სარჩენი ცოლშვილი, დედ-მამა, და-ძმა?

წარმოვიდგინოთ ომის ინვალიდების საზარელი მდგომარეობა და ისე შევხვდეთ მოწყობილ ერთ კვირეულს ინვალიდების დასახმარებლად.

ამიტომ მეტი ყურადღება, მეტი თანაგრძნობა, მეტი მზრუნველობა ამხანაგ ინვალიდებისადმი არა მარტო ლამაზ-ლამაზი სიტყვებით, არამედ საქმით,-რეალურად.

ქ. ხომერიკი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ყველა მშრომელების ერთსულოვანი დახმარება—თავდებია დასახიჩრებულების ადამიანური ცხოვრების.

რევოლიუციისათვის ბრძოლებში დაჭრილი წითელი ჯარის კაცი არ იშურებდა თავის ცხოვრებას, ნუ თუ შენ დაიშურებ ფულს მისი ტანჯვის შესამსუბუქებლად.

შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტი და ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა დახმარება

მას შემდეგ, რაც საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი გარდაქმნილ იქნა „შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტათ“ (გასულ წლის დეკემბრიდან) ამ უკანასკნელის წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანა: ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოჩენა. შიმშილობის ლიკვიდაციის შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობის წარმოება ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ომში დაჭრილ - დასახიჩრებულთა რიცხვი მთელს საქართველოში ძალიან დიდია (რამოდენიმე ათასს აღემატება), ხოლო ამ ბოლო ხანამდე ესე იგი სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დაარსებამდე არ მოიპოვებოდა სათანადო დაწესებულება ამ მხრივ ორგანიზაციულ მწყობრ მუშაობის მწარმოებელი. მართალია, არსებობის ეგრედ წოდებული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი, მაგრამ ეს უკანასკნელი ფინანსიურად იმდენად უმწეო და ხელმოკლე იყო, რომ მისი მუშაობის კვალი თითქმის არ სჩანდა. ამის მიხედვით საქართველოს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტი იძულებული შეიქნა აეღო თავის თავზე ომში დაჭრილ-დასახიჩრებულებზე ზრუნვა. იმ დახმარებას, რომელსაც აწვდიდა კომიტეტი ამ უკანასკნელთ, შემთხვევითი და სპორადიული ხასიათი ჰქონდა და შეუძლებელიც იყო რაიმე სისტემის შეტანა მუშაობაში, რადგანაც გამოურკვეველი იყო ჯერ კიდევ, თუ ვის და როგორ უნდა ეწარმოებია ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოჩენა. ამ რიგად კომიტეტიდან დახმარება ეძლეოდა მხოლოდ მათ, ვინც პირად განცხადებას შემოიტანდა ამ სახით. ინდივიდუალურად გაცემული იქნა სულ 1.186.000.000 მანეთი. გარდა ამისა კომიტეტმა სხვა და სხვა დროს გადასცა შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო დახმარების განყოფილებას ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა საჭიროებისათვის 1,150.000.000 მანეთი.

ამ ბოლო ხანებში სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს, რომელსაც უშუალოდ დაეკისრა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულებზე ზრუნვა, გადაეცა 600 ფუთი კონსერვები 4.000 ოქროს მანეთის ღირებულებისა. თანახმად მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა იმავე კომისარიატს ეძლევა ყოველ თვიურად ამა წლის პირველი აპრილიდან 400.000.000 მანეთი ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა დასახმარებლად. მომავალში განზრახულია დახმარების გაძლიერება, სახელდობრ 25 პროც. კომიტეტის მთელი შემოსავლისა გადაეცემა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმ[illegible]ნის მიზნით.

საერთოდ საქართველოს ში[illegible]ბის შედეგებთან ბრძოლის მ[illegible] კომიტეტის უდიდესი გულის ყუ[illegible] იქნება მიმართული იქითკენ, რ[illegible] შემსუბუქებულ იქნეს იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის მსხვერპლთა მდგომარეობა და მათ იგრძნონ თბილი, მზრუნველი ხელი მშრომელთა მთავრობისა.

საქართველოს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტის მდივანი დ. მახარაძე.

ბურჟუაზიული სახელმწიფოები ომის შემდეგ ღვთის ანაბარად ტოვებენ თავის დასახიჩრებულებს. ამას არ იზამენ მშრომელი მასები.

შენ გადაუხდელ ვალში ხარ დასახიჩრებულთა წინაშე. მიეცი მათ ნაწილი მაინც.

დასახიჩრებული—ომის მუდმივი წამებულია, შენი მოვალეობაა შეუმსუბუქო მას ტანჯვა.

ხებ. ამ ხმების განახლებას ხსნიან მით, რომ პრემიერის ჯანმრთელობას დაეტყო გაუარესება.

თავის თამსაც არ ენდობიან.

ბერლინი. 19 მაისი. მიუხედავად ბალდვინის დამამშვიდებელ განცხადების, რომელიც მან გააკეთა თემთა პალატის უკანასკნელ სხდომაზე, ლონდონის წრეებში მაინც საფრთხეს ხედავენ გადაჭარბებულ ოპტიმიზმში.

პრესის აზრი რუსეთის პასუხის შესახებ

ახალი თავდასხმა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირზე და ევროპის მუშათა კლასი

მოსკოვი 19 მაისი. „პრავდა" ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „ახალი თავდასხმა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირზე და ევროპის მუშათა კლასი", რომელშიაც სწერს:

„დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როცა ჩვენ ვსწერდით, რომ, როდესაც ახალი ომის საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მოევლინება მსოფლიოს, მაშინ თვით სოციალ-დემოკრატიული მუშებიც იგრძნობენ და გაიგებენ რომ ეს საფრთხე ამავე დროს მიმართულია მათ წინააღმდეგაც".

ამ წინასწარმეტყველობის სისწორის საუკეთესო ილუსტრაციაა ეხლახან მიღებული ცნობა ამსტერდამის ინტერნაციონალის ერთ მდივანთაგანის ფიმენის სიტყვის შესახებ. აი რას ამბობს ეს უზომიერესი სოციალ-დემოკრატი: „ამხ. ვოროვსკის მოკვლა,—ეს არის მსოფლიო კაპიტალის აქტი. რეაქცია იმუქრება ომის კოცონის გაჩაღებით, რომელიც კიდევ უფრო უარეს საფრთხეს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რაც ჩვენ განვლეთ.

საბჭოთა რუსეთი, მიუხედავად თავისი შეცდომებისა, არის მსოფლიო მუშათა კლასის დასაყრდენი. მისი დამარცხება იქნებოდა დასამარება ევროპაში მუშათა კლასის თავისუფალი მოძრაობის. ამისათვის კაპიტალიზმი ყოველივე ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რათა დაამხოს ახალი ომით საბჭოთა რეჟიმი".

ფიმენი მოითხოვს ერთიანი ფრონტის შექმნას. ეს ნიშნავს მუშა—სოციალ დემოკრატების ნაბიჯს, გადადგმულს მარცხნით, საბჭოთა რუსეთის მიმართ სიმპატიების ზრდას და კაპიტალის თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გაწევის შეგნებას

კაპიტალის შემოტევა იწვევს თავისთავად პროლეტარიატის მხრივ წინააღმდეგობას. დღემდე კაპიტალიზმი სულდგმულობდა პირველ ყოვლისა ამსტერდამელების და სოციალ-დემოკრატების დახმარებით. ეხლა კი ეს ნიადაგი შეირყა და ფეხქვეშ ეცლება მსოფლიო ბურჟუაზიას. წინააღმდეგობათა ბოლო ბრძოლა შესაძლებელია უკიდურესობამდე მივიდეს. და საქმის ასეთი მდგომარეობა აღსასრულს უმზადებს კაპიტალს.

ჩვენი მორიგი ამოცანაა შევიტანოთ პროლეტარიატის ფართო წრეებში შეგნება. ძველი იდეოლოგიის გახრწნისაგან საბოლოოდ დამოკიდებულია პროლეტარული ბრძოლის გამარჯვება. სწორედ ამისათვის ვუცქერით ჩვენ ასეთი რწმენით მომავალს. პროლეტარული მოძრაობის დასაყრდენი გამოიჩენს გამძლეობას, სიცოცხლის უნარს და განვითარებას და შეასრულებს თავის დიდ როლს კაცობრიობის მომავალში.

იქმნება თუ არა პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი. 19 მაისი. ამხ. სტეკლოვი „იზვესტია"-ში ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „იქმნება თუ არა ერთიანი ფრონტი", რომელშიაც ეხება ფიმენის განცხადებას და სწერს:

„ჩვენ უფლება გვაქვს განვიხილოთ ფიმენის განცხადება როგორც დიდი ნაბიჯი ერთიან პროლეტარული ფრონტის შექმნისაკენ. უკვე მეორე წელიწადია, რაც კომუნისტები ქადაგობენ ერთიანი პროლეტარული ფრონტის ტაქტიკას კაპიტალის თავდასხმის წინააღმდეგ და ყოველივე ძალღონეს ხმარობენ მისი ფაქტიური განხორციელებისათვის.

მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის წინააღმდეგნი თავიდან იყვნენ 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალის ბელადები. ხოლო თუ ეხლა ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი აკეთებს განცხადებას ერთიანი ფრონტის სასარგებლოდ, ეს უნდა ჩავთვალოდ კომინტერნის და პროფინტერნის დიდ მორალურ გამარჯვებად.

ვიცით რა სიფრთხილე ამსტერდამელების და ვიცნობთ რა ფიმენს, როგორც ადამიანს, რომელიც ცდილობს იმოქმედოს მასებთან შეთანხმებით, ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს გამოსვლა არის გამოძახილი მუშათა ფართო წრეების, რომელთა ხმას მუდამ ყურს უგდებს ფიმენი. თუ ეს ასეა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფიმენის გამოსვლა არ არის ჩვეულებრივი და ის ატარებს გარკვეულ პოლიტიკურ შინაარს.

ფიმენის განცხადების ცენტრალური ადგილი არის იმის ცნობა, რომ საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს ბურჯს მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვის, რომ მისი დახმარება იქნებოდა ევროპაში მუშათა თავისუფალი მოძრაობის დახმარება.

ფიმენი გარკვეულად ემხრობა ერთიან ფრონტს და სოლიდარობას მოსკოვს და ამსტერდამს შორის და აგრეთვე მოითხოვს სოლიდარობას რევოლიუციონურ-კომუნისტურ და ზომიერ მუშათა მოძრაობის შორის. რამ გამოიწვია ფიმენის კატეგორიული განცხადება? ამხ. ვოროვსკის მოკვლის გარდა ფიმენი ლაპარაკობს ახალი ომის საფრთხეზე, რომლითაც იმუქრება რეაქცია.

ცხადია, რომ საყოველთაო ქაოსში და მილიტარისტულ ვაკხანალიაში საბჭოთა რუსეთი გამოდის მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე, როგორც ერთად ერთი ბურჯი საყოველთაო მშვიდობიანობისა და თავდები მუშათა კლასის განთავისუფლებისა. რა ნაბიჯებიც არ უნდა მოჰყვეს ფიმენის დეკლარაციას, ჩვენთვის ცხადია, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის იმ ნაწილის ფსიქოლოგიაში, რომელიც გამოდიოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მოხდა სერიოზული გარდატეხა.

ჩვენ ფიმენის გამოსვლას ვუცქერით როგორც ნაბიჯს სასურველ ფსიქოლოგიურ ატმოსფერისა და ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნისაკენ. ეს ერთობა პირველ ყოვლისა უნდა გამოიხატოს კაპიტალის შემოტევის გაგებაში, ახალი ომისათვის წინააღმდეგობის გაწევაში და დახმარებაში საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბურჯს. პროლეტარიატი შესძლებს თვითვე შეტევაზე გადასვლას.

დ ე კ რ ე ტ ი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ამ ჟამად სოფლის მეურნეობაზე გაწერილი როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი პირდაპირი გადასახადების მომქმედი დეკრეტებისა და დადგენილებათა გასაუქმებლად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ გადასახადების ნაცვლად, რაც ამ ჟამად გაწერილია სოფლის მოსახლეობაზე, სახელდობრ: ერთიანი ნატურალური, შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის, პროგრესიული საშემოსავლო, საკომლო-სამამულო, სამრეწველო ბაღებზე და ბოსტნებზე და, აგრეთვე, ყველა ადგილობრივი გადასახადის ნაცვლად, რაც გაწერილია სოფლის მეურნეობაზე,—დაწესებულ იქნეს 1923—1924 წ.წ. ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და, აგრეთვე, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათათვის.

შენიშვნა 1: გადასახადი ესე გავრცელდება აგრეთვე ქალაქისა და ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილის იმ მოსახლეობაზე, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და რომლისთვისაც ეს მეურნეობა შეადგენს ძირითად საქმეს.

შენიშვნა 2: სამრეწველო და სავაჭრო მოსაქმეობა სოფლის მოსახლეობისა დაბეგვრილ იქნება ვაჭრობისა და მრეწველობის გადასახადის შესახებ არსებულ კანონდებულებათა წესით.

2. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს და გამოიხატოს ერთიანი წონადი საზომით (ერთი ფუთი ხორბალი)—ხორბლის ერთეულში.

3. გადასახადი სოფლის თვითეულ ცალკე მეურნეობას გადახდება ფულად ან ნატურით იმისდამიხედვით თუ რა რაიონში მდებარეობს მეურნეობა.

შენიშვნა 1: რაიონებს, სადაც გადასახადი აკრეფილ უნდა იქნეს ნატურით, განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების წარდგინით. წინასწარი ცნობები ამისათვის უნდა წარადგინონ ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულებმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სანქციით. აღნიშნულ რაიონებს უფლება ექნებათ გადასახადი გადაიხადონ ფულითაც.

შენიშვნა 2: საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას გადასახადი უპირატესად ფულად გადახდებათ.

4. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურალური ნაწილი გადახდევინებულ უნდა იქნეს ხორბლეულის პროდუქტებით.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით დააწესოს გადასახადის აკრეფა სხვა პროდუქტებითაც.

5. ხორბლის ერთეულის ფულად ეკვივალენტს რესპუბლიკების თვითეული რაიონისათვის განსაზღვრავენ და საჭიროების მიხედვით გადასინჯავენ ამიერ კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების დამტკიცებით.

6. სოფლის მეურნეობის ყოველი პროდუქტის გადატანის დროს ფუთი ხორბალის წონად საზომზე, ეკვივალენტი (ნორმა) განისაზღვრება იმავე წესით, როგორც ფულადი ეკვივალენტი (მუხ. 5).

7. გადასახადის რაოდენობა თვითეული მეურნეობისათვის გამოანგარიშებულ უნდა იქნეს:

ა) იმის მიხედვით, თუ რა სივრციაა,—სახნავზე გადატანით,—მეურნეობაში სახნავი, ვენახი, ხეხილის ბაღი და სათიბი და აგრეთვე სხვა კულტურიანი მიწები (გარდა იმ კულტურათა, რაც ჩამოთვლილია მე-9 მუხლის 1-ლ პუნქტში).

ბ) იმის მიხედვით თუ როგორი მოსავლიანობა აქვს პურეულს ერთ დესეტინაზე.

გ) იმის მიხედვით, თუ რამდენი წლოვანი მუშა და მსხვილი რქოსანი და წვრილფეხა საქონელია მეურნეობაში.

გლეხის თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის ჯამის გამოსაანგარიშებლად ამ მეურნეობის სიღონიერისა და გადახდის უნარიანობის მიხედვით დაწესებულია:

ა) მეურნეობათა ჯგუფები სახნავისა, ვენახისა, ხეხილის ბაღისა, სათიბისა და სხვა კულტურიანი მიწების რაოდენობის მიხედვით.

ბ) მოსავლიანობის კატეგორიები დესიატინაზე ფუთობით.

გ) მეურნეობათა ჯგუფები ოთხფეხი საქონლის რაოდენობის მიხედვით მსხვილ რქოსან საქონელზე გადატანით.

შენიშვნა 1: დასაბეგრი მიწების რიცხვში ჩაითვლება სახნავი საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესით, აგრეთვე ბალახეულის ნათესით, ანეული და სანახირო მიწები.

შენიშვნა 2: იმ ჯოგის რიცხვში, რომელიც აღნუსხულ უნდა იქნეს დაბეგვრისათვის, ჩაითვლება მუშა ოთხფეხი საქონელი სამუშაო წლოვანებისა (სამ წელს გადაცილებული ცხენი, ხარი, ჯორი, ვირი და ოთხ წელს გადაცილებული კამეჩი და აქლემი) მსხვილი რქოსანი საქონელი ოთხ წელს გადაცილებული და წვრილფეხა საქონელი ერთი წლისაზე უფროსი.

შენიშვნა 3: სათიბისა, ვენახისა, ხეხილის ბაღისა და სხვა კულტურიანი მიწების სახნავ მიწაზე გადატანის ნორმას და აგრეთვე მუშა და წვრილფეხა საქონლის მსხვილ რქოსან საქონელზე გადატანის ნორმას დააწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებული მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სასურსათო სახალხო კომისარიატი.

8. თვითეული რაიონისათვის მოსავლიანობის კატეგორიები, მას შემდეგ რაც კი გამოირკვევა, თუ რა პირი უჩანს ნამდვილად მოსავალს, დაწესებულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა მიერ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სანქციით წარედგინება ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატებს, რომელნიც ერთად წარუდგენენ მას დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

თემებისათვის (საქართველოში) და უბნებისათვის (სომხეთსა და აზერბაიჯანში) მოსავლიანობის კატეგორიებს დააწესებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო საგადასახადო კომისიის წარდგენით, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რომ შემცირებულ არ იქნეს გადასახადის ის ნავარაუდევი თანხა, რომელიც მოსავლიანობის კატეგორიის თანახმად გამოანგარიშებული იქნება თვითეული რაიონისათვის და დამტკიცებული ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთ უფლება ეძლევათ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით,—მოსავლის განსაკუთრებული სიჭრელის გამო, ნება დართონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა სოფლებისთვისაც დააწესონ განსაკუთრებული კატეგორიები.

9. სახელმწიფოსათვის უაღრესად სასარგებლო კულტურათა წარმატებისათვის და მეურნეობის მეთოდების გასაუმჯობესებლად დადგენილ იქნეს შემდეგი შეღავათი:

1) განთავისუფლდეს გადასახადისაგან მიწები. დათესილი ბამბით, წამლის ბალახეულით და ზაფრანით, ჩაის პლანტაციები და მეაბრეშუმეობისათვის თუთის ხეებით გაშენებული ადგილები და საცდელი მინდვრები და საჩვენებელი და სათესლე პლანტაციები—საგანგებო სიის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2) არ დაიბეგვრება გადასახადით ჯიშიანი ოთხფეხი საქონელი და მეფუტკრეობა.

3) მეურნეობა, რომელსაც 1921—1923 წ. წ. გაუწევია თვალსაჩინო მუშაობა მორწყვისა, დაშრობის და ქვიშიანი და ხრამიანი ადგილების მოკვარებისათვის, განთავისუფლდება იმ გადასახადის 25 პროც.-საგან, რაც შეეხება მელიორაცია ქმნილ მიწას ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების მიერ გამოცემული ინსტრუქციის წესისამებრ. გამოუსადეგარი მიწა, რომელიც ამ ჟამად ჩარიცხული არ არის დასაბეგრი მიწების სივრცეში, უკეთუ მისი მელიორაცია მოხდება, განთავისუფლდება დაბეგვრისაგან სამი წლის განმავლობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ.

10. გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც იმყოფებიან ან წინედ ყოფილან წითელი არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში,—მიეცეთ შემდეგი შეღავათი:

ა) წითელი არმიისა და ფლოტის მოსამსახურე, რომელსაც მეურნეობაში ექნება სხვადასხვა სანახი ორ დესიატინამდე სახნავზე გადატანით, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან;

ბ) იმ პირის ოჯახი, რომელიც ითვლება წითელი არმიის ან ფლოტის სამსახურში სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან, უკეთუ მეურნეობაში არ იმყოფება სხვა შრომის უნარიანი წევრი ოჯახისა;

გ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა და იმ წითელ-არმიელთა ოჯახებს, რომელნიც ტყვედ იმყოფებიან, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ეძლევათ იგივე შეღავათი, რაც იმ წითელ-არმიელთა ოჯახებს, რომელნიც ირიცხებიან ნამდვილ სამსახურში.

11. ბიუჯეტით გათვალისწინებული ადგილობრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად სკოლებისა და საავადმყოფოების შენახვისათვის, გზებისა ხიდებისა და სხვა ადგილობრივი საჭიროებისათვის,—მოხდება პროცენტული გადარიცხვა აკრეფილი გადასახადის თანხიდან. ანარიცხის რაოდენობას ადგილობრივი საჭიროებისათვის განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო. ანარიცხის გადაცემის წესს ადგილობრივი ორგანოებისათვის განსაზღვრავენ ამიერ-კავკასიის სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატები ურთიერთთან შეთანხმებით.

12. თვითეულ რესპუბლიკაში მოეწყობა განსაკუთრებული საგადასახადო კომისია ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატისა და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით, ხოლო მაზრებში, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა კომისია სამი წევრისაგან. კომისიების მოვალეობას შეადგენს წინასწარი განხილვა და წარდგენა ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატებისათვის, ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კუთვნილებისამებრ:

ა) მოსავლიანობის სარაიონო, სათემო (საქართველოში) და საუბნო (სომხეთსა და ადერბეიჯანში) კატეგორიებისა;

ბ) რაიონებისა, რომელთაც გადასახადი უნდა გადახდესთ ნატურით;

გ) ფუთი ხორბალის ეკვივალენტისა (ნორმისა) ფულად და პროდუქტებად (მუხ. 5 და 6);

დ) საკითხისა გადასახადის გადახდევინებაში შეღავათის შეფარდების შესახებ.

13. შედგენა სასოფლო საგადასახადო სიებისა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ობიექტებისა და ნიშნების (სახნავის, ნათესის, ხეხილის ბაღები, ვენახის, სათიბის და სხვა კულტურიანი მიწების და ოთხფეხი საქონლის) დაწესებით თვითეული მეურნეობისათვის, სწარმოებს სათემო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით და იმ სამეულების სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლისაგან (თავმჯდომარე სამეულისა) და ფინანსთა ინსპექტორისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულისაგან.

მოსავლიანობის კატეგორიების დამტკიცების შემდეგ ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ რაიონებისათვის, ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თემებისა და უბნებისათვის, თემებისა და უბნების აღმასრულებელი კომიტეტები შეადგენენ საგადასახადო სიებს, რომელშიაც უნდა შეიტანონ თვითეულ მეურნეობაზე გაწერილი გადასახადის თანხა; საგადასახადო სიის დამტკიცებისას სათანადო ფინანსთა ინსპექტორის და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ, საბოლოოდ განსაზღვრული თანხა გადასახადისა შეტანილ უნდა იქნეს დაწესებულ საშენაწერო (ოკლადნოი) ფურცელში, რომელიც დაუყონებლივ გადაეცემა გადამხდელს.

14. პასუხისმგებლობა დასაბეგვრი სივრცისა და ოთხფეხი საქონლის სისწორით და თავის დროზე გამორკვევისათვის თვითეულ მეურნეობაში, გადასახადის რაოდენობის სწორი გამოანგარიშებისათვის და აგრეთვე საშენაწერო სასოფლო ფურცლების თავის დროზე შედგენისათვის და გადასახადის თავის დროზე და სისრულით აკრეფისათვის—ეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

15. იმ რაიონებში, სადაც გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ფულად, გადასახადის აკრეფა დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს და დაწესებულებათ; აღნიშნულ რაიონებში სასურსათო სახალხო კომისარიატის საგადასახადო აპარატი გადადის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელში. იმ რაიონებში, სადაც გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ნატურით, გადასახადის აკრეფა დაეკისრება სასურსათო სახალხო კომისარიატის ორგანოებს, ხოლო ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია მოაწყოს კასები გადასახადის ფულადი ნაწილის მისაღებად მცხოვრებთაგან და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ კასებს.

16 გადამხდელი ვალდებულია მოსავლის დაბინავებისა და საშესაწერო ფურცლის ჩაბარებისთანავე შეუდგეს გადასახადის გასტუმრებას. გადასახადის შეტანის ვადებს ფულად და ნატურით დააწესებენ ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატები.

17 გადამხდელს შეუძლია შეიტანოს სამაზრო საგადასახადო კომისიაში განცხადება და საჩივარი როგორც დაბეგვრის ობიექტებისა და ნიშნების არა სწორი აღნუსხვის შესახებ, ისე თვით გადასახადის შენაწერის გამოანგარიშებისა და გადახდევინების გამო. განცხადებისა და საჩივარის შეტანა ვერ შეაჩერებს გადასახადის გადახდევინებას.

შენიშვნა: განცხადება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის სოფელი უკანონოდ არის ჩარიცხული მოსავლიანობის ამა თუ იმ კატეგორიაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ თემისა, უბნისა, ან სოფლის მიერ, ხოლო არა ცალკე გადამხდელის მიერ.

18. გადამხდელს შეუძლია სამაზრო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს განსაკუთრებულ საგადასახადო კომისიაში.

19. მოქალაქე, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, პასუხს აგებს პირადათ და თავისი ქონებით სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით: დაწესებულ ვადაში შეუტანლობისათვის გადასახადს მიერიცხება საურავი.

20. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთები დაწესებულ უნდა იქნეს ცალკე დეკრეტით.

21. ამა დეკრეტის განვითარებისათვის ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატები ერთად გამოსცემენ საჭირო დადგენილებათ და ინსტრუქციებს და დააწესებენ ყველა ვადას ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

22. მოქმედება ყველა,—გამოუნაკლისად,—წინად გამოცემული დეკრეტისა და დადგენილებისა სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის დაწესების შესახებ მოისპოს 1923 წლ. ივლისის 1-დან. ხოლო ნარჩენი ამ გადასახადებისა ცალკე იქნეს გადახდევინებული.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ. **ს. ამბარცუმიანი.**

სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სასურსათო სახალხო კომისარი **დ. ბუნიატ-ზადე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ნ. თუმანოვი.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. ტალიბლი.**

ამსტერდამელები სხვა ენით ალაპარაკდენ

პრაღა. 16 მაისი. ჩეხიის რკინის გზელთა ყრილობაზე პრაგაში ამსტერდამის პროფინტერნის მდივანმა ფიმმენმა განაცხადა, რომ ვოროვსკის მკვლელობა ამტკიცებს იმას, რომ საერთაშორისო რეაქცია ომით გვემუქრება. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთად ერთი დასაყრდენი—ეს საბჭოთა რუსეთია, რომლის დამარცხებასაც ფიქრობს იმპერიალიზმი. გამარჯვება მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც მოსკოვი და ამსტერდამი ერთად, სოლიდარულად იმოქმედებენ. ჩეხიის რკინის-გზელთა ყრილობა მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყვეს.

ამხ. კრასინის განცხადება

პარიზი. 17 მაისი. გაზეთ „ეხო დე პარი"-ს კორესპონდენტის ცნობით ამხ. კრასინმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ მასზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კამათმა თემთა პალატაში. შეეხო რა კავშირის გაწყვეტის შემდეგ მოსალოდნელ შედეგებს, ამხ კრასინმა სთქვა: „ინგლისის მთავრობა გადასწყვეტს, სურს თუ არა მას, რომ რუსეთის ბაზრის ბაზათ გადაიქცეს ბერლინი ან კოპენგაგენი.

საპროტესტო დემონსტ. იმპერ. ულტ. წინააღმდეგ

საპროტესტო მიტინგი ტაშკენტში.

ტაშკენტი. 15 მაისი. 15 მაისს ძველ და ახალ ტაშკენტში გაიმართა გრანდიოზული მიტინგები, რომელსაც დაესწრო აურაცხელი ადგილობრივი მცხოვრები. ორატორი მუსლიმანები აღნიშნავდნ, რომ თურქესტანის მუსლიმანი მშრომელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდი დაიცავენ საბჭოთა ხელისუფლებას. საბჭოთა მთავრობის პასუხის წაკითხვამ აღფრთოვანება გამოიწვია. მიტინგის შემდეგ წითელმა არმიამ და შეიარაღებულმა მუშებმა ქალაქში მანიფესტაცია მოახდინა.

ყოველგან.

მოსკოვი. 15 მაისი. ნოვო-ნიკოლაევსკიდან, ყაზანიდან, მინსკიდა სარატოვიდან ტამბოვიდა, კრასნოიარსკიდან, არხანგელსკიდა, ჩელიაბინსკიდან, კოსტრომიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, კავკავიდან, სამარიდან, ცარიცინიდან, ორიოლიდან და საბჭოთა ფედერაციის სხვა ქალაქებიდან და ადგილებიდან მოდის ცნობები განუწყვეტელი საპროტესტო მიტინგების, კრებების და დემონსტრაციების შესახებ ინგლისის თავხედური ნოტის და ამხანაგ ვოროვსკის პროვოკაციული მოკვლის გამო.

სამარაში დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათეული ათასი კაცი, გაგრძელდა ღამითაც.

ტამბოვში გლეხების წარმომადგენლებმა განაცხადეს თავისი სოლიდარობის შესახებ ქალაქის პროლეტარიატთან.

ბელორუსიის პროფესორთა საბჭომ მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მეცნიერებს. პროფესორთა საბჭო მოუწოდებს მეცნიერებს აღიმაღლონ ხმა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

გლეხობა ყოველგან აცხადებს, რომ მზად არის დაიცვას მუშურ-გლეხური მთავრობა.

გუმბრის პროლეტარიატის პროტესტი

გუმბრი. 18 მაისი. გუმბრში გაიმართა დიდი მიტინგი ამხ. ვოროვსკის მოკვლისა და ინგლისის ნოტის საპროტესტოდ. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდენ წითელი არმიის ნაწილები, რკინის-გზელნი და გლეხობა. გამოიტანეს ერთსულოვანი რეზოლიუცია: ყოველის ღონით იბრძოლონ პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად იმპერიალიზმის მტაცებლობისაგან.

აჭარის მშრომელთა დემონსტრაცია

ბათომი. 17 მაისი. დიდი დემონსტრაცია გაიმართა ინგლისის მოთხოვნილებათა საპროტესტოთ და ამხ. ვოროვსკის მკვლელობის გამო აღშფოთების გამოსათქმელათ. დემონსტრანტებმა შეუარეს სახალხო კომისართა საბჭოს, სახალხო კომისარს და რუსეთის საკონსულოს, რომელსაც დაავალეს დეპეშით აცნობოს მოსკოვს დემონსტრანტების სურვილი. დემონსტრანტებს თანაგრძნობის სიტყვით მიჰმართა სპარსეთის საკონსულოს მდივანმა. მსვლელობის დროს დემონსტრანტები ამბობდენ: „ძირს ფაშისტები". დემონსტრაცია 5 საათზე მეტს გაგრძელდა. ქალაქის უმთავრესი ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი.

ახლო აღმოსავლეთში

ბერძნების მუქარა.

რომი. 18 მაისი. ათინის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის დელეგაციამ ლოზანაში მიიღო განკარგულება, რათა მან დასტოვოს კონფერენცია, თუ უკანასკნელი დაადგენს, რომ საბერძნეთის მთავრობამ უნდა გადაუხადოს ოსმალეთს კონტრიბუცია.

ბერლინი. 17 მაისი. საბერძნეთის მთავარ-სარდალი ემუქრება მთავრობას ათინაზე გალაშქრებით, თუ უკანასკნელი დათანხმდება ოსმალეთისათვის კონტრიბუციის გადახდაზე. პირიქით ის მოითხოვს, რომ საბერძნეთმა მოსთხოვოს ოსმალეთს კონტრიბუცია.

დილის ზეიმი

(პ ო ე მ ა).

I.

მზე ამოგორდა ოქროს თმიანი
და თვალებს იფშვნეტს
ვით ნამთვრალევი;
ასე გგონია ის მადლიანი
გაშლილ გულს ივსებს
სისხლის დალევით.
ჯამბაზი ქუჩა მიწყნარებული,
ხმა მილეული და მიბნედილი—
შფოთვას და ხმაურს
შეყვარებული,
მრისხანე როგორც ჯელალედინი—
ილვიძებს ისევ.
ქვა ფენილები ოდნავ ციმციმებს,
ძნობს ეტლების,
მობილთა
კვ სიმძიმეს.
დის ტრამვაი,
კატმანი ზედ ზის
და ეყვინთება.
ელექტრო ჭაღიც
აღარ ინთება.
ირგვლივ სიჩუმე.
მხოლოდ აქა იქ
თუ გაივლის ველოსიპედი.
დიდი სახლები თითქოს მთვრალია
დილის ზეიმით...
ოხ, რა კარგია კეთილი ბედი.
მზე უფრო მკვეთრად
დაშლილ სხივებს მიწას უგზავნის.
სასახლის თაღზე.
ციფერბლატი
დროს ანაწილებს.
ის არის შრომის დირიჟორი
და თანამგზავრი.
მიერეკება მაღაროსკენ
სარდაფის შვილებს.
და დაღვრემილი სახეებიც მიიჩქარიან.
ქალაქი უშვებს
შფოთსა და ხმაურს.
ყოველი წუთი აქ—
ჩვენება და ჯადოქარია.
ყურთა სმენა კი ვეღარ უძლებს
ამ აურ ზაურს.
და ტრამვაები მიმოჰქრიან.
დაფეთებული.
გაზაფხულია.
— ხედავ ვინ მოდის?!
აქ მეეზოვე ცოცხით ხელში
გახედავს შურით.
— ო, მოდის, მოდის—
ვარდი გულზე გაკეთებული!
და ოქროს ძეწკვი
მსუქან ფაშვზე წყებად დაყრილი.
მას ეხარბება
სიცოცხლე ტკბილი.

II.

ტანდაკუზული
შეირხა ქალაქი.
ქარხნების მილებმა
მზის დაბნელებით აუშვეს ბოლი.
ტროტუარს ღებავს
პროცესიის
ფერადი ზოლი.
ქვა-ფენილებზე მისრიალებს
ავტომობილი...
დასწვდა ვიღაცას...
საწყალი როგორ ტანჯვით
ღრიალებს.
ის ბედით იყო დაწყევლილი
და დაგმობილი.
გდია ნახევრად დაბეჟილი
და დამტვრეული.
ჩასჭიდებია თავის კურტანს
კბილთა კრაჭუნით...
ვინ წაიკითხოს მისი გულის
შავი რვეული.
აღვსილი ბოღმით და გულის წყრომით.
დაკოდილ გულში
ჯადოსნური ცეცხლი ანთია
იგი ხომ ბევრჯელ ამ ცხოვრებას
დაუშანთია.
ცხოვრობდა—მოკვდა,
იყო—არ არის...
ქალაქი ისევ მორთულია
ბაირაღებით.
მწყობრი სიმღერა;
ერთი, ორი...
მიდის ლაშქარი.
მას აცქერდება მოქალაქე
თვალ გადევნებით.
ტროტუარებზე კარნავალი
და გაოცება...
აქ თვალს იპყრობენ
მწიფე მტევნები,
დადიან მძიმედ,
ტკბილი რონინით.
ჩვენ ყველანი ვართ
მოყვარულნი მშვენიერების.
ჯანსაღ სხეულში
ბევრს არ უდგას ჯანსაღი სული,
მათ ბედი იპყრობს გადაშენების.
მაინც ზეიმი.
ბოლი აჰოდის დაგრაგნილი
ქარხნის მილიდან.
მზეც სხივებს აფრქვევს
აელვებული და ემუქრება
წვის სიკვდილითა
ქალაქს ქვითკირიანს,
და ფოლად-რკინიანს.

III.

ვინ მოიტანა
აქ დროშები
წითელი ფერის,
მაშვრალთ გოდება
და ტირილი ვინ დააყუჩა?
რომ სიხარული ალისფერი
შვების ჰიმნს მღერის,—
და ზეიმს იხდის
სისხლიანი
ბილიკი ქუჩა?!
კათაკმეველნი აქ, რომ იყო
დღეს სად წავიდა,
საყდრების გუმბათს
რად ამშვენებს ბაირაღები?
სისხლი რად მოსჩქეფს
ღამის დარაჯს
გამსკდარ თავიდან?
ნუ თუ იშლება
ყველაფერზე
ძველი დაღები?!
პასუხი მხოლოდ
მოკლე და მკვეთრი:
ზეიმობს დილა
და მიდამოს სდის
სინარნარე.
იდუმალება
ისე მკაცრად არ
არ იცქირება.
სიცოცხლის დღეა
და მცენარენიც მინდვრად
ელვარებს.
საგუშაგოზე
მწკრივებად სდგას
რკინის გმირები.
აღარ არსებობს
არც საზღვარი
და აღარც ზღუდე!
შვების წუთები ჩვენ დაგვიბრუნდნენ,—
გამოქცეული ტყვეობიდან
დღეს იხდის ზეიმს.
იხარე ხალხო!
აღარ გელის გადაშენება
ზეიმის ძალა აქანავებს
ნაძვებს წვივიანს;
მწველ უდაბნოში
რისხვას აფრქვევს
ახალშენები
და გვირგვინები
მპყრობელების
ცეცხლში ცვივიან!

IV

ჩვენთვის ტკბილია მოგონება
დიდებულ დღეთა,
ღვარად დაიქცა
სისხლი ძმათა
ღვთიურ ბრძოლაში
ეჯიბრებოდით
თქვენ ურთი-ერთს
თოფის სროლაში.
ზარბაზნის ტყვიას
შეამტვრიეთ ფოლადის
მკერდი...
გაშლილი ველი
იყო ხავერდი—
თქვენ იქ დასტოვეთ
ყველაფერზე უძვირფასესი:
მხოლოდ სიცოცხლე;
ჯანმრთელი ტანი
ძვლებთან ერთად
გადნა მიწაში...
რამდენი სევდა
და იმედი
თან ჩაიტანეთ,
რომელიც მუდამ
მძვინვარებდა
ნაზ გულის თქმაში.
იყავით გმირი,
გულ მაგარი და ჯვაროსანი!
ჰოი, სიკვდილო,
წყეულიც იყავ,
აპოხიერებ დედა-მიწას
ჩვენ სისხლ და ხორცით
და ჯერე კიდევ
ვერ გააძღე ულმობი ჟამი.
მოკლული ღამის საშინელებით
მხოლოდ დღეს მარტო
და იგიც აქა—
დიდ ზეიმს იხდის კაცობრიობა.
ის არის ახლა
სიყვარულის მოქმედი ძალა,
ახალ ყოფნისთვის
ჯავშნიანი
ფრთები გაშალა;
გულში
მას ღრმად ყავს დამარხული
მომავლის მსხვერპლი.
ის თბილი გრძნობით
უვლის აკლდამებს
სად სძინავთ ტკბილად
ნაწამებ მამებს.

V

მზე უფრო მწვავედ
იცქირება დაუნდობელი.
სხივები ქალაქს
ალმურში წვავს
ალმურში დაგავს.
ისევ ზეიმი და მხნეობაა
იმედი არვის არ დაუკარგავს.
დიდი ქარხნები
კრთის და ენთება.
აურზაური, გრიალი მწყობრი
და მანქანების ალური სახე—
კიაფობს ძვირფას ორნამენტებად.
ზეიმის დღეა,
აქ მოსვლაზე ვინ სთქვას
უარი,
ვინ უნდა იყოს,
რომ გაექცეს
ამ ნეტარებას?!
ასე გონია ცეკვობს
ქარხნის რეზერვუარი!
მილიონები
ხელგაშლილი...
რიტმი ცხოველი...
დღის ცხელ ალმურში
ბრუნავს ყოველი.
ადამიანი აქ სჩანს
მხოლოდ შავ წერტილებად;
აქ წმინდა შრომა ახლა
ყველას ეადვილება.
ღვედების სრიალს
ხმას უერთებს
სულის თქმა მილის,
და სხივმფინარე
ზეიმი დილის
იპყრობს მთელ ქალაქს
ბობოქარს და
სულით მშფოთვარეს,
მინდვრებს, მთებს, ველებს,
მილიონიან დაკორძებულ
ფოლადის ხელებს,
რომ გაარღვიოს
მესამე რკალი—
რკალი მძიმე,
რკალი გულცივი.

VI

მაღაროები
გვირაბებს და ელექტრონი
კოსმიურ
ბრუნვას ეთამაშება.
აქ, ერთი წამიც
საუკუნეა.
გვიყვარს გრიგალი და ქარიშხალი
და მოულოდნელ
გამბედაობის
ღვთიური ნიჭით აკაშკაშება.
ვუმღერით უროს,
ვუმღერით ჩაქუჩს,
ქუჩებს და ქარხნებს.
— ხელს ძირს ვინ
აქნევს?!
— გამყიდველი!
— სიკვდილი იმას...
ჩვენ ხომ არ გვიყვარს
გამყიდველები?..
გაიპრიალებს
მზეზე მახვილი,
შეტორტმანდება ჯალათი ბრაზით—
თავი მხრებიდან გადმოგორდება;
არსად ტირილი,
არსად გოდება.
შებრალებაც კი
აღარავისგან.
აქ, შრომა იბრძვის
შრომა წმინდა და წელმაგარი,
მას ამ ქვეყნისთვის
ბევრი რამ აქვს ნაამაგარი.
დღეს ის მეფეა
და სასახლედ იცნო
ქარხნები,
გვირაბები,
მაღაროები.
მას შემოაცვდა ყველა დროები,
დღეს აქ მოვიდა
გამარჯვების დღესასწაულზე.
ძველი მსოფლიო
ხვდება შიშით
ხვდება კანკალით.
ჩვენი ტეტრაც
გულუბრყვილო
სდგას კბილის კრეჭით
მას უხარია საჩუქარი:
სახნის საკვეთი
და მისი ოფლის ყოველი წვეთი
სხვის ანეულში, რომ არ ეცემა.
მხიარულება...
ქალაქი ისევ თმებ აშლილი
თვრება ნარნარი.
აღარ თავდება
ზეიმი დილის!

[illegible]

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. ბაზტრესტი), რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფ. № 5—43.

15 მაისიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

საერთო ხელის მოწერა თვიურათ	1.000.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	750.000
ერთი ეგზემპლიარი	40.000

კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 20 მაისამდის შემოიტანონ განსხვავება მაისის მეორე ნახევრის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთების მიწოდება შეწყვეტილი იქნება.

4—4

არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლისთვის

მეფის თვითმპყრობელობასთან გმირულ ბრძოლაში დაცემულთა შორის საქართველოში და მის გარეთაც განსაკუთრებული სახელი დარჩა რკინის გზის ტფილისის მთავარ სახელოსნოს მუშას არსენ ჯორჯიაშვილს. 1905 წ. კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობაში მან დატოვა წაუშლელი კვალი.

გრიაზნოვის მკვლელობა, რომელიც მოაწყო არსენ ჯორჯიაშვილმა იყო აშკარა და გაბედული პასუხი აღშფოთებული რევოლიუციონერისა იმ შავბნელი რეაქციის მიმართ, რომელიც დამსჯელი ექსპედიციებით დაუნდობლათ ანადგურებდა საქართველოს დაბა-ქალაქებს და სოფლებს, სისხლის მორევში აღრჩობდა თავისუფლებისთვის მებრძოლ მშრომელ ხალხს. ჯორჯიაშვილის პასუხს და შურისძიებას აღტაცებით და სიხარულით შეხვდა ბორკილებში მკდომი ტანჯულ აკვნესებული ხალხი და „არსენ ჯორჯიაშვილის სიმღერა“ გაისმოდა კავკასიის ყველა კუთხეებში და თვით რუსეთის სამრეწველო ქალაქებშიც კი. გრიაზნოვის მოკვლის და არსენ ჯორჯიაშვილის სიკვდილის დასჯის შემდეგ გადის 17 წელი. (1906 წ. იანვარი—1923 წ.) და გმირ რევოლიუციონერის სახელს მადლობით იხსენიებს მუშათა კლასის ახალი თაობაც.

ჯორჯიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა კინოლენტზეა გადაღებული და გასულ წლებში მას აუარებელი ხალხი ნახულობდა, სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს გამოსაქვეყნებლად მისი ცხოვრების შესახებ დაწვრილებით ცნობებს. ეხლა საკითხი სდგას მისთვის ძეგლის აგების შესახებ, რომელზეც აქტიურათ მუშაობს გრიაზნოვის მკვლელობის ერთ ერთი მონაწილე ამხ. ვაინერი.

ეჭვი არ არის, რომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუციის მებრძოლთა ხსოვნა მხურვალე თანაგრძნობით გამოეხმაურება ამ განზრახვას. ფართო მასშტაბით უნდა იქნეს მოწყობილი, შემოწირულების მოგროვება, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. ამ სიმპატიურ საქმისთვის თავისი წვლილი არ უნდა დაიშუროს არც გლეხმა, არც მუშამ ჯორჯიაშვილმა თავი შესწირა ხალხის საქმეს და უკვდავი უნდა დარჩეს მისი სახელი. ჯორჯიაშვილი დაეცა ბრძოლაში მშრომელთა განთავისუფლებისთვის, განთავისუფლებულმა მშრომელმა ხალხმა სიხარულით უნდა იკისროს მისთვის ძეგლის აგება.

თანამშრომელი.

სხვადასხვა ამბები

ფოში გარკვეული პოლიტიკის მომხრეა

პარიზი. 18 მაისი. მარშალ ფოშის ჩეხო-სლოვაკიაში მოგზაურობის გამო ბენეშმა განუცხადა „პტი-პარიზენის“ კორესპონდენტს. „მარშალი ფოში წარმოადგენს ჩვენთვის გარკვეული პოლიტიკის მატარებელს. ის ყოველთვის ომის დროსაც და ომის შემდეგაც ურჩევდა მოკავშირეებს დაეტოვებიათ დავა და შეთანხმებულად აღედგინათ ევროპა და ევროპის მშვიდობიანობა. ეს სწორედ არის ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც მე მუდამ ვიცავ და ვატარებ“.

ორთავე ანტანტის გაერთიანება.

პარიზი. 18 მაისი. „ჟურნალ დე დება“ აღნიშნავს, რომ ფოშის გამგზავრება მიგვიყვანს მცირე და დიდი ანტანტის გაერთიანებამდე, ვინაიდან მცირე ანტანტის ყველა მთავრობები დაინტერესებული არიან იმაში, რომ გერმანიას საშვალება არ მიეცეს ახალი თავდასხმისათვის. ამ გაერთიანებისათვის ძლიერ კარგი იქნება ის, თუ პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებიან ერთი მეორეს, ვინემ ეხლა, მით უფრო, რომ აღნიშნული სახელმწიფოები ვერ მორიგებულან მხოლოდ იმ საკითხებში, რომელიც შეეხება მხოლოდ საზღვარზე მდებარე დაბა-იავორინს.

ინგლისის გენერალური შტაბის უფროსის გამგზავრება პოლონეთში.

ლონდონი. 18 მაისი. გუშინ კრაკოვში ჩავიდა ინგლისის გენერალური შტაბის უფროსი ლორდ კავანი, რომელსაც მიეგება პოლონეთის მთავრობა. კავანთან ერთად მოგზაურობენ ინგლისის შტაბის ოფიცრები და პოლონეთის ოფიციალური კორესპონდენტი. პოლონეთის სარდლობის წარმომადგენლებს კავანმა განუცხადა: „მე ბედნიერი ვარ ვეწვიო კრაკოვს მას შემდეგ, როდესაც მას ეწვია ჩემი დიდი და სახელოვანი მეგობარი მარშალი ფოში. მე ვაცხადებ, რომ ჩემი გრძნობები პოლონეთისადმი ისევე გულწრფელია, როგორიც მარშალ ფოშის გრძნობები“, დღით კავანმა დაათვალიერა პოლონეთის ჯარები და ღამით გაემგზავრა ვარშავაში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ლილის ფეიქართა საყოველთაო გაფიცვა.

ლილის და მთელ ლილის რაიონის საფეიქრო წარმოების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა. გადაწყვეტილება გაფიცვის დაწყების შესახებ მიღებულია ბამბის ფაბრიკებში 700 ხმის უმეტესობით 12000 მუშიდან, ხოლო საქსოვ სახელოსნოებში—1,900 ხმის უმეტესობით 2750 მუშიდან. გაფიცვის ხელმძღვანელი ფეიქართა უნიტარული კავშირი მოითხოვდა საათში სამუშაო ხელფასზე 60 სანტიმის მომატებას, ხოლო რეფორმისტული კავშირი თანახმა იყო მხოლოდ 40 სანტიმის მომატებაზე.

უნიტარული კავშირის წინადადება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ უარჰყვეს რეფორმისტებმა.

კელნის სააღმშენებლო მრეწველობის მუშათა გაფიცვა,

კელნის ოლქში დაიწყო სააღმშენებლო მრეწველობის მუშათა გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობს 5,000 მუშა. გაფიცვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დამქირავებლებმა უარი სთქვეს სამუშაო ხელფასის მომატებაზე, რასაც მოითხოვდენ მუშები. მუშები მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის 30 პროცენტით გადიდებას; დამქირავებლებმა კი უარი სთქვეს თვით იმ სახელმწიფო დაწესებულების მოთხოვნილებაზედაც, რომლითაც სამუშაო ხელფასი უნდა გადიდებულიყო 8 პროცენტით.

გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ტეხნიკურმა მოსამსახურეებმა, მღებავებმა და სხვ. მეორე დღეს კელნის სააღმშენებლო მრეწველობის მუშებს შეუერთდენ ვისდორფის და ბუშეინის მუშებიც. დიუსელდორფის სააღმშენებლო მრეწველობის მუშებმაც ისეთივე მოთხოვნილება წარადგინეს, როგორიც კელნის მუშებმა და შესაძლებელია, რომ ისინიც შეუერთდენ გაფიცულებს. სააღმშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირის ხელმძღვანელები არ სცნობენ ამ გაფიცვას იმის გამო, რომ ის დაიწყო კომუნისტების ინიციატივით. მასიურ მიტინგზე მოგროვილმა გაფიცულებმა მოსთხოვეს პროფკავშირების ხელმძღვანელებს, რათა მათ თავი დაანებონ კლასობრივ თანამშრომლობის პოლიტიკას და განაახლონ კლასთა ბრძოლა. კელნის შრომის ბირჟა გაფიცულების ადგილებზე გზავნის უმუშევრებს და თუ ვინმე უარს იტყვის შტრეიკბრეხერობაზე, მას უსპობს დახმარებას. შტრეიკბრეხერების დასაცავად კელნში და ვისდორფში გაწვეულია პოლიცია.

„საერ. მოძ.“

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარაში

პროფკავშირის ორი წლის თავი.

ბათომი. 17 მაისი. 16 მაისის საღამოს, აკადემიურ თეატრში დიდის ზეიმით იდღესასწაულეს პროფსაბჭოთა გასაბჭოების ორი წლის თავი. დაწვრილებითი მოხსენებით პროფკავშირთა მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა ამხ. ყურულაშვილი. ამხ. პიასეცკის მოხსენების შემდეგ მომენტის შესახებ, საიუბილეო კრებამ მქუხარე ტაშის ცემით მიიღო რეზოლიუცია—ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიოს კაპიტალის იერიშებს. დაბოლოს კლუბების სტუდიამ აჩვენა თავისი მუშაობის ნაყოფი.

კომუნალურ მეურნეობის ხარჯთ-აღრიცხვა.

ბათომი. 17 მაისი. საერთო შემოსავალი ბათომის კომუნალური მეურნეობისა გამოიხატება 49.723.788 მანეთით, რაც ოქროზე გადატანით უდრის 1,100 მანეთს. ამათში გადასახადების შემოსავალი შეადგენს მთელი შემოსავლის 5,2 პროცენტს, იჯარით გაცემულ წარმოებათა—9 პროცენტს. ქალაქის განკარგულებაში გადასული სახლების—10,7., სადგილ-მამულო იჯარის—1,7.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ვალიუტის კურსის დამწესებელ დროებითი კომისიის ოფიციალური კურსი.

(19 მაისი)

საბჭ. ფულ. ნიშ. —17 ათასი.
ოქროს 10 მან.—16,700 ათასი.
ჩერვონეცი — —10,150 ათასი.
გირვან. ჩეკები —10,500 ათასი
დოლარ. ჩეკები — 2,300 ათასი
ოსმ. ქაღ. ლირა— 1,500 ათასი.

მუშკოპის ფასები

19 მაისი.

შაქრის ფხვნილი 380.000. ადგილობრივი მარმარილოს საპონი 300,000 „ტოლლეს“ საპონი 300.000. ლობიო 35,000 ასანთი 25,000 თეთრი ფქვილი 1 ხარისხის 80,000

საქონლის ბაზრის ფასები

საბითუმო.

ყუბანის ფქვილი 1 ხარისხ 2700—2800. ადგილობრივი ფქვილი 1200—1300. ყუბანის ხორბალი 1150—1300 სიმინდი 500—550. ლობიო 800—1100. თავი შაქარი ფუთი—32 მილ. კარაქი 1 ხარისხ.—14000. თუშის ყველი 7500—12000. ხანის ბრინჯი 10.000 აქულის ბრინჯი 10.000. ინგლისური ჩაი—85 ლირა; ქვა მარილი 1800—2000. ბაქოს ნარმა 19 კ.

რკინის გზაზე

რკინის გზის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო მიმდინარე წელში რკინის გზის მიერ არავითარი შეღავათი არ ექნება მიცემული ექსკურსიებს არც ბილეთების მიღებისა და არც ცალკე ვაგონების მიწოდების მხრივ.

სიმინდის გაზიდვა.

სავაჭრო ფირმა „არკოსი“ მოლაპარაკებას აწარმოებს აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან აფხაზეთში სიმინდის დამზადების შესახებ მისი საზღვარგარეთ გასატანათ. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭო ამ საქმეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან ერთად აწარმოებს.

ეკონომიური თათბირისა და სოფლის კავშირების საგარეო ოპერაციები.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ ნება მისცა ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ურალის, ციმბირის და სხვების ეკონომიურ თათბირებს გაატარონ ადგილობრივი რესპუბლიკების და ოლქების საჭიროებისათვის აუცილებელი საექსპორტო—საიმპორტო ოპერაციები. ოპერაციების გატარება უნდა მოხდეს ეკონომიურ თათბირში შემავალ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების საშუალებით, რომელთაც ნება ეძლევათ საზღვარგარეთის სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობაში გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები. საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების დამოუკიდებლად წარმოების უფლება ცენტროკავშირთან ერთნაირ პირობებში ენიჭება აგრეთვე სოფლის კავშირსაც.

ცეკავშირისათვის საქონლის მიწოდება.

ცენტროკავშირის სავაჭრო განყოფილების დადგენილების თანახმად, გამგეობამ მისცა ცეკავშირს საქონელი 62.000 მანეთის ღირებულებით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ვაჭრობა 1922 წ. და 1923 წ. პირველ მეოთხედში

1922 წელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის პირველი წელიწადია საერთო-სახელმწიფოებრივ, საკავშირო მასშტაბში გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის; მთელი წინა პერიოდი, 1921 წლის მარტიდან დეკემბრითურთ, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების დღიდან 1922 წლამდი, მიმდინარეობდა გარკვეული სამეურნეო გეგმის გარეშე, რადგან სახელმწიფო და სამეურნეო აპარატი ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციის პროცესში იმყოფებოდა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ვაჭრობის ბრუნვა 1922 წლის და 1923 წლის პირველ მეოთხედის განმავლობაში ღირებულებისა და წონის მიხედვით გამოიხატება შემდეგ ციფრებში (ათას ოქროს მანეთებში და ათას ფუთებში):

ღირებულება 1922 წ.—1,058,377 ოქროს მანეთი, წონა 31.183 ფუთ. 1923 წლის 1-ლი მეოთხედი—8,035,8 ოქრ. მან. წონა 6.649,9 ფუთი.

საერთო ბრუნვა-ღირებულების მიხედვით 1922 წლის პირველ მეოთხედში უდრიდა 21.382 ათას ოქროს მანეთს, შემდეგ ბრუნვა თანდათანობით გაიზარდა და მესამე მეოთხედში (ივლისი-სექტემბერი) ავიდა 37.634 ათას ოქროს მანეთამდე. უკანასკნელ მეოთხედში კი ბრუნვა ერთბაშად შემცირდა და დაეცა 19,467 ათას ოქროს მანეთამდე, ესე იგი თითქმის 50 პროცენტით. ბრუნვის შემცირება გრძელდება შემდეგაც, და 1923 წლის პირველ მეთხედში ბრუნვა უდრის 8 მილიონ მანეთს, რაც 1922 წლის პირველ მეოთხედის ბრუნვასთან შედარებით ერთ მესამედს შეადგენს.

ამ რიგად საერთო სავაჭრო ბრუნვა მცირდება, მაგრამ ეს შემცირება ხდება იმპორტის ხარჯზე: 1922 წლის პირველი მეოთხედიდან იმპორტი 74.2 პროცენტიდან იმავე წლის უკანასკნელ მეოთხედში 61,5 პროც. დავიდა, 1923 წლის პირველ მეოთხედში კი—43,5 პროც.-დი. მაშასადამე საგარეო ვაჭრობაში პასიური ბალანსის დრომ განვლო და ახლა უკვე გვაქვს აქტიური ბალანსი—ჩვენი ექსპორტი სჭარბობს იმპორტს ერთი მილიონი ოქროს მანეთით.

საქონლის ბრუნვის წონის მიხედვით განხილვის დროს ვამჩნევთ ამავე მოვლენას: 1922 წლის დასაწყისიდან როგორც იმპორტი ისე ექსპორტი თანდათანობით იზრდება და აღწევს მაქსიმუმს ივლის-აგვისტოში, ამის შემდეგ იწყება საგარეო ვაჭრობის ოპერაციების საგრძნობი შემცირება. ეს შემცირება შედეგია ეკონომიური პოლიტიკის შეცვლის, რომელმაც გამოიწვია უცხოეთის იმპორტის შესუსტება ამიერ-კავკასიასა და რ. ს. ფ. ს. რ. შორის ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერების შემდეგ. ამ დაახლოვების შედეგია ერთის მხრივ რუსეთიდან აუარებელი საქონლის (შაქარი, მანუფაქტურა) მოწოდება და მეორე მხრით ამიერ-კავკასიიდან ადგილობრივი ნედლი მასალის (ბამბა, მატყლი და სხვა) რუსეთში ექსპორტი. მეორე ფაქტორს, რომელმაც ხელი შეუწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პასიური სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღებას, წარმოადგენს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სალიცენზიო პოლიტიკა, რომელიც კრძალავს უცხოეთიდან ფუფუნების საგნების შემოტანას, ზღუდავს საზღვარ-გარეთიდან ისეთი საქონლის შემოტანას. რომელთა დამზადება შეიძლება ადგილობრივ და სხვა.

იმპორტისა და ექსპორტის შედარების დროს ჩვენ ვამჩნევთ ორი მოპირდაპირე პროცესის სწორ მიმდინარეობას: ზემოთ უკვე აღნიშნულ იმპორტის შემცირებასთან ერთად თუმცა ნელა, მაგრამ მაინც იზრდება ჩვენი ექსპორტი, რომელიც თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სავაჭრო ბალანსში.

თვიური ბრუნვის (1000 ფუთებში) საშუალო ციფრის შედარების დროს, ჩვენ ვხედავთ შემდეგს:

საშუალო იმპორტი—1922 წ. 924,4 1923 წ. პირველ მეოთხედში—171,1

თვიური ექსპორტი 1922 წ.—1674,2 1923 წ.—2.045,5, საერთო ბრუნვა 1922 წ.—2.298,6 1923 წ.—2.216,6.

ე. ი. თუმცა ბრუნვის საერთო ჯამი შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა საშუალო თვიური ექსპორტი, რაც გამოწვეულია შავი ქვის გაძლიერებული გატანით.

საქონლის ცალკე ჯგუფებიდან, რომლებიც ამიერ-კავკასიის საექსპორტო საგანს შეადგენენ, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ჩვენი ექსპორტის მთავარ საგანს შეადგენს შავი ქვა და მანქანის ზეთი, შემდეგ მიდის ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ეს უკანასკნელნი უმთავრესად გააქვთ რუსეთში.

ტყის ძვირფასი ჯიში (წითელი ხე, მუხა და სხვა) და თამბაქო ძველებურად პოულობენ ბაზარს უცხოეთში. შაქარი სპარსეთში ექსპორტის მთავარ საგანს შეადგენს; მარილი იგზავნება ანატოლიაში; ხიზილალა და ნოხები კი უმთავრესათ ევროპის ბაზარზე საღდება.

პროფკავშირის კულტშეფობა წითელ ჯარზე

ოთხშაბათს, მაისის 23 სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირი იღებს კულტშეფობას ქართულ დივიზიაზე და საქართველოს ფარგლებში მყოფ კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის ნაწილებზე.

დილის 11 ს. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა კავშირის პლენუმის და წითელ არმიელთა მონაწილეობით.

12 ს. რუსთაველის პრ. (მუშათა სასახლის წინ) გაიმართება აღლუმი.

საღამოს წითელ არმიელთა ყველა კლუბებში და განათლების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართება კონცერტი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **ხარჯთაღრიცხვა.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა არსებული ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები: 1. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სასარგებლოდ გადარიცხული თანხა გადიდებული იქნას 220,787 მ. 55 კაპ. ოქროთი, 2. გზების შესაკეთებლად გათვალისწინებული ხარჯები გადიდდეს—80,506,28 მანეთამდე, 3. საბჭოთა სახლების შესაკეთებლად გადადებული იქნას 70,900 მან. 4. სასოფლო მეურნეობის ხარჯები გადიდდეს 100 პროც. აღნიშნული ცვლილებები გადატანილი იქნება პლენუმის სხდომაზე დასამტკიცებლად.

— **საბავშო სახლების და მილიციის სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანა.** აღიძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა საბავშო სახლები და მილიცია ისევ გადაყვანილ იქნან სახელმწიფო მომარაგებაზე, აღმასკომის ბიუჯეტის საგრძნობ დეფიციტის გამო.

— **საინფორმაციო-საინსტრუქტორო ქვეგანყოფილების გაუქმება.** აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, გაუქმებულ იქნა საქმეთა-მმართველობასთან არსებული საინფორმაციო-საინსტრუქტორო ქვე-განყოფილება. ხოლო საინფორმაციო ნაწილი შეერთებულ იქნას სტატისტიკურ განყოფილებასთან.

— **საბინაო განყოფილება.** აღ. პრეზიდიუმის დადგენილებით, საბინაო განყოფილებაში შეჩერებულ იქნა ყოველგვარი მუშაობა დროებით. წინადადება მიეცა საბინაო განყოფილებას—გამოუნახოს ბინები მხოლოდ ცენტრ. პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მოწვევით ახლად ჩამოსულ ამხანაგებს სახ. კომ. საბჭოს მიწერილობით.

— **გადასახადის შესახებ.** წყალზე და ელექტრონზე აპრილის გადასახადისათვის დაწესდა ერთი მილიონი ოქროს მან. მაგივრათ, ხოლო 1-ლ მაისიდან საფუძვლად იქნება მიღებული ოფიციალური კურსი.

გამომცემლობა.

— **ახალი წიგნი.** ივნისის 15 გამოვა ახალგაზრდა პოეტის იონა ვაკელის ლექსების და პოემების კრებული „შარავანდედი“ წიგნი იბეჭდება კარგ ქაღალდზე—144 გვერ.

ბოროტ-მოქმედებები.

— ტფილისის 1 ნაწ. ვერის დაშორებით ყაჩაღები თავს დაესხნენ და წაართვეს ყაზახის მაზრაში მიმავალ სულეიმან ნაზარ-ოღლის, ახმედ-აშურ ოღლის და აბას-ანკირ ოღლის სხვა და სხვა ნავაჭრი საქონელი.

ქურდობა.

— პლეხანოვის პრ. № 146 ბოროტ-მოქმედებმა გაქურდეს კავკასიის ცალკე არმიის საქმის მწარმოებელი სვიმონ სინიბრატოვი.

— გუნიბის ქ № 54 ალექსანდრე ნეიმანის სახლიდან ქურდებს წაუღიათ სხვა და სხვა საქონელი.

— ვერის დაღმართზე № 29 გაქურდეს კონსტანტინე თუმანიშვილის და ევგენია პროზარკევიჩის ბინა, საიდანაც წაღებულია 600 მილიონის საქონელი. შეიპყრეს ვასო გიუნაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

— ბუდაკოვის ქ. № 5 ვიღაც ბოროტ-მოქმედები ფანჯრის საშუალებით შეპარულან თომა გრიგოწეიკის ბინაზე, საიდანაც გაუტანიათ სხვა და სხვა საქონელი.

— გუნიბის ქუჩაზე ქურდებმა გაქურდეს აკაკი ფანჯავიძის ბინა, საიდანაც 100 მილიონის საქონელი წაიღეს.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 20 მაისს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ჩვენი თანამშრომელ მუშკორების კრება, გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში

(კრუზენშტეინის ქ., № 4, მე-3 სართული).

მუშის სიმღერა.

წარსული სახე ჩემი ცხოვრების
იყო ნაღველი, ცრემლში ნაღესი;
ყოველი სწრაფვა გულის ნდომისა
მწუხრის ლექსებში ამონაკვნესი!..

ეხლა აღარ ვარ რაც ვიყავ წინად,
სევდის ლექსები დღეს არ მშვენია;
დღეს ბრძოლის დროშა მიპყრია ხელში
მდელოს მებრძოლთა რაზმი შვენია!..

მე არ მაშინებს, ცხოვრების გზაზე
დამიდგეს ჟამი მწუხარებისა;
მე არ მაშინებს დღიური შრომა,
რომ არ მაძლევდეს სალირალს დიდსა!..

დღეს ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას,
ჩვენი ვალია მოვიპყრათ ნდომით;
ჩვენ გვევალება შრომის სამეფოს
ყველა უცქერდეთ სრულ თანაგრძნობით!..

და ამ ჩვენ წინსვლას, რაინდულ სახეს,
მთელი ქვეყანა ეხმატკბილება;
მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხი,
ჩვენ მებრძოლ გმირებს ეთაყვანება!..

და შორს არ არის დრო, ნეტარი,
როს დაინგრევა მტერთ სამფლობელო,
რომლის მოწმედა მალე გახდება,
მუშურ-გლეხური ჩვენი სამშობლო!..

მუშა ხიო ხიდიხთაველი.

უმაღლეს მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის ბრეხილი ავეჯეულობის ქარხანა.

აღნიშნულ ქარხნის მუშებში ძალიან მცირე რიცხვია, როგორც სრულიად წერა-კითხვის უცოდინარნი, ისე მცირე მცოდნენიც. აქაურ მუშებში არის მისწრაფება ცოდნა-განათლებისაკენ, მაგრამ ამ მხრით მათ დღემდე დიდი დაბრკოლება ეღობებათ: მათ დღემდე არა აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, კლუბი და სკოლა და ეს იმიტომ, რომ მათ არ მოეპოვებოდა სამისო შენობა. ამ უკანასკნელად კი ამავე ქარხნის ადგილკომის მიერ არის ენერგიული ზომები მიღებული, რათა მუშებს ექნეს როგორც ბიბლიოთეკა, ისე სკოლა და სხვა.

ამ მიზნით, ადგილკომის მოთხოვნილების თანახმად, უმაღლეს სამეურნეო საბჭომ გადასწყვიტა, რათა ამავე ქარხნის ეზოში მობინადრე და ამავე ქარხნის ყოფილ მეპატრონეს ჩამოერთვას რამოდენიმე ოთახი ქარხნის ბიბლიოთეკისა და სკოლის გასამართავად.

ადგილკომის მეცადინეობა ამ მიმართულებით დიდ კმაყოფილებას იწვევს განათლების მოსურნე მუშებში. სასურველია, უ. ს. მ. საბჭოს დადგენილება სისრულეში იქნას მოყვანილი სასწრაფოდ და ძველი მეპატრონე-ექსპლოატატორის ბინა მუშათა კლუბად იქნას გადაკეთებული და გამოყენებული.

ინფ. კორ. ჩხმელი.

ქალაქ თბილისის საქონლის სადგურის მუშებში.

აღნიშნულ დარგის მუშები განიცდიან დიდ კრიზისს ყოველ მხრივ. მათ უხდებათ მუშაობა ზედმეტ საათებში, ხოლო ამისათვის ხელფასი არ ეძლევათ. ისინი არიან მოკლებულნი რკინისგზელთა ყველა უფლებებს და პრივილეგიებს, გარდა ამისა არ ყოფილა შემთხვევა, რომ მუშებს თავის დროზე მიეღოთ სამუშაოს ხელფასი. ამის მიზეზი კი არის არა ის, რომ თითქო რკინის გზის სამმართველო არავითარ ანგარიშს არ უწევდეს ტრამოტას და მის წარმომადგენელს, რომელიც მიდის იქ ფულების მისაღებათ როგორც ეს ჰგონიათ ზოგიერთ ამხანაგებს. მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს: როდესაც შევეკითხე ტრამოტის კოლეგიის წევრს, რომ ხელშეკრულების ძალით მათ უნდა მიიღონ ფული რკინის გზის სამმართველოდან ყოველ თვის 2-ში და 17 რიცხვებში, და როდესაც ამას არ ასრულებს რკინის გზის სამმართველო და არღვევს ხელშეკრულებას, რატომ ისინი არ გაასაჩივრებენ ამას სასამართლოში, მან მიპასუხა: „რკინის გზის სამმართველოს უნდა ჩვენ მოგვიცილოს და ამიტომ არ გვისრულებს ხელშეკრულებას, მაგრამ ჩვენ არ გვინდა მოვსცილდეთ, ეს საქმე გაუშვათ ხელიდან და ამიტომ ყოველივეს ავიტანთო“. მაგრამ ის იმას კი არ უწევს ანგარიშს, თუ რამდენად ასეთი სამეურნეო ორგანოების ურთიერთ არანორმალურ დამოკიდებულებამ მუშები ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში. მუშების თვალში დაეცა ჩვენი კავშირის პრესტიჟი და მთელი სიმძიმის გადატანა უხდება ადგილობრივ კომიტეტს და მოწინავე ამხანაგებს, რომლებიც აიმედებენ მუშებს „ხვალ-ზეგიობით“.

ეხლა ორი სიტყვა იმაზე, თუ რა არის საჭირო საქმის გამოსასწორებლად: 1. უნდა იქნას გადასინჯული ტრამოტის კოლეგიის პიროვნული შემადგენლობა და შეყვანილი ამ კოლეგიაში საქმის მცოდნე პირები; 2. გადასინჯული უნდა იქნას ხელშეკრულება, დადებული ტრამოტის და რკინის გზის სამმართველოს შორის; 3. მუშებს უნდა მიეცეს ხელფასი თავის დროზე და აგრეთვე უნდა მიეცეს სამგზავრო უფასო ბილეთები. ამ საქმეს სჭირდება დროზე შველა და უპირველესად ყოვლისა ამ გარემოებას უნდა მიექცეს საქართველოს კომპარტიის ცეკას სატრანსპორტო განყოფილების მხრივ სერიოზული ყურადღება; მან უნდა მოკიდოს ამ საქმეს ხელი და ერთხელ და სამუდამოთ გამოასწოროს 1100-ზე მეტი მუშის მძიმე მდგომარეობა.

ადკომის თავმჯდომარე **გ. ანთიძე.**

როზა ლუქსენბურგის სახელობის 1-ლი სახელმწიფო თამბაქოს ქარხანა.

სადგურის ქუჩა № 8.

ა. წ. 9 მაისს ამ ქარხანაში მოწვეულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ხემჩანოვი მდივნობდა ამხ. კასპარიანი.

დღის წესრიგში გარდა სხვა საკითხებისა, იდგა: 1) სანატორიუმების და მოსასვენებელი სახლების გამრავლება და 2) ოქროს მომგებიანი სესხის მუშებში გავრცელება.

პირველი საკითხის შესახებ ამხ. მელიქსეტოვი აკეთებს მოხსენებას და ასურათებს სანატორიუმის და მოსასვენებელ სახლების ფრიად დიდ მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმ მოსამსახურეთათვის, რომლებსაც სჭირდებათ ექიმობა ჯანმრთელობის აღსადგენად. და ამიტომ სანატორიუმი „არაზინდო“-ს თვითონ მუშა- მოსამსახურეებმა უნდა გაუწიონ სათანადო დახმარება მათი შეკეთების და გაფართოვებისათვის. მეორე საკითხის შესახებ ამხ. მელიქსეტოვი მოკლედ ახასიათებს ოქროს მომგებიან სესხის დანიშნულებას, როგორც ქაღალდის ფულების შესამცირებელი და სახალხო მეურნეობის აღმდგენი საფინანსო ეკონომიური ფაქტორი.

კრებამ ერთხმად გადასწყვიტა მოსასვენებელ სახლების და სანატორიუმები—„არაზინდოს“ შესაკეთებლად მუშებმა იმუშაონ ერთი დღე.

მომგებიანი სესხის შესახებ კი მუშებმა გამოსთქვეს სურვილი შეუწყონ ხელი მის პოპულიარიზაციას მუშათა მასაში.

მუშკორ ს. შ.

ამხ. მუშის გ. ჯაბაურის საღამო.

სახალხო სახლში.

მიმდინარე წლის 18 მაისს სახალხო სახლში ადგილობრივმა დრამატიულმა წრემ გაუმართა დამსახურებულ მუშა-მსახიობს გ. ჯაბაურს საღამო, და სწორეთ, როგორც ეკუთვნოდა ჩვენს გოგიას, ისეთი პიესაც დასდგეს და ისეთივე როლიც მისცეს მას. დადგმულ იქნა პიესა **„№ 21 ჯგრით“** ია ეკალაძისა. ეს პიესა თავისი შინაარსით ჩაგახედებთ წარსულ—რევოლიუციის სარკეში, თუ რამდენი ჰყოლია მას გმირები. აი ასეთი გმირთაგანია პიესაში ირაკლი კოზირიძე. რომლის როლს ასრულებდა თვით იუბილიარი, გიორგი ჯაბაური და თავისი როლი კარგადაც შეასრულა იგი ცხოვრებაშიდაც „ირაკლი“ იყო მუშებს შორის.

დარბაზი სასიამოვნო სანახავი იყო თავის მორთულობით. აქ იყვნენ მთავარ სახელოსნოს თითქმის ყველა მუშები ცოლშვილითურთ.

სალამი ასეთ ერთგულს ამხანაგ—მუშებს და ხანგრძლივი, დაუღალავი სიცოცხლე ჩვენს გოგიას!

მუშკორ. ვასილ რონიშვილი.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორთა გასამართლება

ამ დღეებში მე-3 რაიონის შრომის ინსპექტორმა შრომის კანონების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა და პასუხისგებაში მისცა შემდეგი კერძო მწარმოებელნი და ვაჭრები:

— 1. **გვარაძე ნიკოლოზ და ბორის რიხიკი** (კაფე „გენეს“ პატრონი **რუსთაველის ქ. №** 8) იმის გამო. რომ აქ მუშაობდენ 4 მსახური, რომელიც ბირჟის გარეშე იყვნენ მიღებული, რომელთაც არ ქონდათ საანგარიშო წიგნაკები და არც დაზღვეულნი ყოფილან;

— 2. **კარემუზოვი სერგეი** (სასადილოს პატრონი, **სოლოლაკის ქ. №** 14) იმის გამო, რომ ორი მომუშავე შრომის ბირჟის გარეშე ჰყავდა მიღებული ხელფასს აძლევდა დაწესებულ მინიმუმზე ნაკლებს. საანგარიშო წიგნაკები არ დაურიგებია და დამზღვევ კასაში ფული არ შეუტანია.

— 3. **ხარქისიანცი მოსესი** (წინდის საქსოვი სახელოსნოს პატრონი, **მადათოვის ქ. №** 7) იმის გამო, რომ ამუშავებს მცირეწლოვან ქალს 11—12 საათს დღიურად, ხელფასს სრულიად არ აძლევდა, ამას გარდა აქ მუშაობდა 4 ქალი, რომელიც შრომის ბირჟის გარეშე იყვნენ მიღებული, ხელფასს იმათაც მინიმალურზე ნაკლებს აძლევდა. მუშებს არ ქონდათ საანგარიშო წიგნაკები და არც დაზღვეულნი აღმოჩნდენ.

— 4 **ენფიანჯიანცი აშოტი** (სათუნუქო სახელოსნოს პატრონი **ნერსეს ქ. №** 12) იმის გამო, რომ შრომის ბირჟის გარეშე ჰყავდა აყვანილი 3 მუშა, რომელთაც არ აღმოაჩნდა საანგარიშო წიგნაკი და არც დაზღვეულნი იყვნენ.

ხელოვნება

ხუთშაბათი, 17 მაისი. რუსთაველის თეატრის ტეხნიკურ პერსონალთა ბენეფისი. „ბერდო-ზმანია“ ალ. შანშიაშვილის, პიესა 4 მოქმედ.

ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ მისი სული მბორგავი და მოუსვენარია. ადამიანი მიწის შვილია და მისი უკანასკნელი სავანეც მიწაა. თვითეული ნაბიჯი ადამიანის განსაზღვრულია, მისი ნებისყოფა ბედისწერის მიერ არის შებორკილი. ბედი თანასდევს ადამიანს ყველგან და მის ცხოვრების დავთარში წინასწარ არის უკვე აღნიშნული ადამიანის თვითეული ნაბიჯი. ბედისწერა მძიმე ლოდათ აწევს ადამიანის გულს და უაღრეს ბედნიერების დროსაც კი მის სულს არ ასვენებს მიწის კანონის გარდუვალობა. მიწა რითაც იქნება დაიბრუნებს მაინც თავის შვილს და საბედისწერო ბედიც ერთხელაც იქნება დასცინებს თავის მსხვერპლს. მაგრამ მიუხედავათ მიწის სჯულის გარდუვალობისა, ადამიანის სული მაინც მღელვარეა: მას არ ჰკმაყოფილებს გარშემორტყმული გარემო, ის სადღაც მიილტვის, მისწრაფვის, მუდმივ ძიებაში და ღელვაშია. ზეციურ არსების სურათი (ცისია) ერთხელ შეჭრილი მის არსებაში სამუდამოთ დაარღვევს მის სიმშვიდეს და მასთან დაახლოვების ძლიერი ლტოლვით გაიტაცებს მას. ადამიანი არ კმაყოფილდება სიმშვენიერის მხოლოდ შორიდან ცქერით, მისი თვალისმჭრელი სილამაზე გარდუვალ სურვილს აღუძრავს მას მასთან დაახლოვების და მისთვის ხელის შეხების. ბედისწერა კი დასცინის ადამიანს ასეთი სურვილისათვის, რადგან ყოველი მშვენიერება მიუწდომელია. ბედნიერების მაძიებელ ადამიანს ბევრი თვალწარმტაცი არსება ხვდება გზაზე: ვენერა (ალ. ქიქოძე-აბაშიძისა), ტურფა (ბ. გამრეკელი) და მზეონა (თ. ჭავჭავაძე); ყველა ისინი ერთად იჭრებიან მის არსებაში, მაგრამ მშვენიერებაზე ერთხელ შეყვარებული მისი სული მათ აღერსშიც მიუწდომელ იდეალის-ცისიას სურათს ეძებს... ადამიანის სულში სხვაგვარი ლტოლვაც არის. ადამიანის ბუნება გაუმაძღარია. ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა თავისი მდგომარეობით და მისი სული მუდამ ახალს, უკეთეს ეძებს, მუდამ მიილტვის „შორეულ ნაპირისკენ“.

სიკეთის გრძნობასთან (მშვენიერებისადმი მისწრაფება) ადამიანის ბუნებაში ძლიერია ბოროტების დასაბამიც. აქ ადამიანს ეხმარებიან მიწის სჯულის (დე-დია) ამსრულებელნი: შური (ალ. ჟორჟოლიანი), სიკვდილი (ც. ამირაჯიბი) და მათი წინამძღოლი ბედისწერა (ბედია—ი. ზარდალიშვილი). შური აქეზებს ადამიანს (ბერდო-აკ. ვასაძე) ბოროტების ჩასადენათ, ბედი ხელს უწყობს ასეთ განზრახვას და სიკვდილი კი ბოლოს ესტუმრება ბატონათ (პიესაში-მეფედ) გამხდარ ადამიანს და ბოლოს მოუღებს მას მშობელ მიწასთან დასაბრუნებლად. ბრძოლაში და ძიებაში ადამიანის ბუნება ილლება, მის ხორციელ ორგანიზმს ხავსი ეკიდება; მაგრამ მის სულში მაინც სცხოვრობს მშვენიერ ცისიას სურათი და მისი მოქანცული ბუნება მაინც მზათ არის მის მოსახვევად და გულში ჩასაკრავად. მაგრამ ცისია-მშვენიერება ხორცშეუსხმელია, ახლოს ხილვა მისი შეუძლებელია. ამაოა ამ ქვეყნად დიდება და სიმდიდრე. ერთ მშვენიერ დღეს ესტუმრება ადამიანს პირჩაფარებული მშვენიერი ასული და უკანასკნელ ცეკვაში ჩაითრევს მას. მისი სახის ნახვა არ შეიძლება, მისი სახელის გაგება შეუძლებელია, მაგრამ ადამიანი იმ იმედით, რომ ის დაუახლოვდა თავის მიზანს-ცისიას, ძალით მოინდომებს ასულისათვის ჩადრის ჩამოხსნას,—მაგრამ ცისიას მაგივრათ სიკვდილის დალრეჯილი სურათი დაუდგება მას წინ. მიწამ შეასრულა თავისი კანონი და გზა აბნეული შვილი მშობელ დედას დაუბრუნა... ასეთ სიმბოლიურ ფერებში აქვს ავტორს გადაშლილი ადამიანის სულიერი ცხოვრების სურათები. პიესა ფილოსოფიურ თემაზეა დაწერილი და ამიტომ ის ჩვეულებრივი, უბრალო მკითხველისათვის გაუგებარია. მიუხედავათ ამისა პიესაში არის ეფექტიური ადგილები და ამიტომაც ის საინტერესო მოსასმენია.

პიესა დიდ გასაქანს აძლევს რეჟისორის ფანტაზიას. პიესის დადგმა ტეხნიკურის მხრივ თუ შეიძლება გამართლებულ იქნეს (რადგან შინაარსი არ უდგება დრამატიულ ნაწარმოების ფორმებს), რადგან თუ რეჟისორის მიერ მოცემული არ არის მხატვრული თვალისმჭრელი სურათები, —პიესა ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს.

პიესა დადგმული იყო ლამაზად.- კარგი იყო პირველი და უკანასკნელი მოქმედების დეკორაციები. მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა სასინათლო სცენები, განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში ცისიას გამოჩენა. პიესას ეტყობოდა რეჟისორის მზრუნველი ხელი.

კარგი ბერდო იყო აკ. ვასაძე. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს ამ მსახიობის ნიჭი და აქაც უნდა ვსთქვათ, რომ მსახიობმა დასძლია დაკისრებული მოვალეობა. მხოლოდ არ შეგვიძლია ერთ გარემოებაზე არ მიუთითოთ მსახიობს: ხანდახან მსახიობმა ძალიან იცის ხმის ამაღლება და ალაგ-ალაგ ეს მეტად მკვახეთ გამოდის. შეიძლება ეს მსახიობის ხმის თვისება იყოს, მაგრამ ზედმეტი არ იქნებოდა მსახიობი ყურადღებას მიაქცევდეს თავის ხმას. მისი არტისტიული მომავალისათვის ამას მნიშვნელობა ექნება.

ბედიას როლში ჩვენ ამ საღამოს პირველათ ვნახეთ იუზა ზარდალიშვილი.

ხჩანს მსახიობს კარგათ შეუთვისებია როლი, მხოლოდ საჭიროა მეტი სარკაზმის გამოჩენა იმ ადგილებში, სადაც ბედია დასცინის ბერდოს. სუსტი იყო ალ. ჟორჟოლიანი შურის როლში. ეს როლი თუმცა დიდი არ არის, მაგრამ ძნელია მისი გადმოცემა. ყოველი მისი სიტყვა ბოროტების თესლს უნდა სთესდეს ბერდოს გულში და მისი სატანიური ხარხარი ბოროტების ჟრუანტელით უნდა აკანკალებდეს ბერდოს და მთელი მაყურებლების ბუნებას. ალ. ჟორჟოლიანმა კი ვერ მოგვცა ეს.

მშვენიერი იყო ქალთა პერსონაჟების ყველა ამსრულებელნი.

დანარჩენი მსახიობებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

მეორე მოქმედების შემდეგ ახდილი ფარდის ქვეშ ნაჩვენები იყო სცენის მობრუნება და დეკორაციების დადგმა ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო და მხურვალე ტაშით შეხვდა იმ უჩინარ მოღვაწეებს, რომელნიც ჩუმათ იღწვიან სადღაც სცენის უკან და ურომლისოთაც არც ერთი წარმოდგენის დადგმა არ შეიძლება სცენაზე.

შ. ხ—ლი.

— **ტუგანოვის იუბილე.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება რუსული დრამის დამსახურებულ მსახიობის და რეჟისორის ა. ტუგანოვის 35 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

— **„ჰამლეტი“ ქართულ სცენაზე.** სამშაბათს, მაისის 22-ს რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობის—გიორგი დავითაშვილის საბენეფისოდ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის „ჰამლეტი“. ჰამლეტის როლს შეასრულებს დავითაშვილი.

— **უმუშევართა სასარგებლოდ** დღეს ყოფ. არტ. საზ. „ტარტოს“ საზაფხულო კლუბის ბაღში—საბჭო-

თა მოსამსახურეების კავშირის უმუშევარ წევრთა სასარგებლოდ იმართება სეირნობა-საღამო.

— **ხოხუნჯი ალმანახი.** ამ დღეებში გამოვა ორკვირეული იუმორისტული ალმანახი „შოლტი“.

— **დახმარება.** სცენის მუშაკს გ. იორდანიშვილს მისი 25 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ იუბილეს გამო მთავრობამ გადასდო 100 მილ. მან. დახმარების სახით.

პროვინციაში

ქ. სენაკი.

ხუთშაბათს, 17 მაისს ქ. ახალსენაკში მოწყობილ იქნა დიდი დემონსტრაცია პროფკავშირების წევრების, მუშების, კომუნისტურ პარტიის და კომკავშირის წევრების და მასწავლებლობა—მოწაფეობის მიერ. დემონსტრაციამ, რომელსაც ამშვენებდა აფრიალებული წითელი დროშები, სხვა და სხვა ლოზუნგები და წარწერები,—გაიარა მთავარი ქუჩები მუსიკით და შემოვიდა სამიტინგო ადგილზე—თავისუფლების მოედანზე. დემონსტრაციაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა „სპარტაკის“ ორგანიზაცია.

დღის 12 საათზე გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც წარმოთქმულ იქნა სიტყვები პარტკომის, პროფბიუროს და ახალგაზრდათა კავშირის წარმომადგენელთა სახელით—ამხ. ვოროვსკის მკვლელობის და დიდი-ბრიტანეთის ნოტის შესახებ.

გამოტანილ იქნა ვრცელი რეზოლიუცია, სადაც დემონსტრაციაში მონაწილეობის მიმღებნი ხმას იმაღლებენ მოსალოდნელ იმპერიალისტურ ომის საწინააღმდეგოდ; ისინი მოითხოვდენ ყოველგვარ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას, მაგრამ თუ „ქვეყნის ბატონი“ კაპიტალი თავისას არ მოიშლის და მოიწადინებს კვლავ სისხლის ღვრას და პროლეტარულ რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშქრებას,—მუშები დაირაზმებიან როგორც ერთი კაცი და არავის მისცემენ ნებას ოქტომბერში სისხლით მოპოვებულ თავისუფლების წართმევისას.

სენაკელი კორესპონდენტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 12.

მაგარი სასმელის წარმოებისა და გაყიდვისა და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობის საპატენტო გადასახადის რაოდენობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10 თარიღითა და მე-7 №-რით გამოცემული დადგენილების 8, 23, 30 და 36 მუხ. მუხ. დასამტკიცებლად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული სანახევარწლო განაკვეთი საპატენტო გადასახადისა ქარხნებში და სავაჭროებში მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვისათვის და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობისათვის.

ა. მაგარი სასმელების წარმოებისა და ბითუმად გაყიდვისათვის.

ვაჭრობის სახე	ზოლები				
	უმაღლესი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	დაბალი
	ამიერ-კავკ. ფულის ნიშნის მანეთი (ათასობით)				
ქარხანები:					
ხარექტიფიკაციო					
ა. ძირითადი 500.000°-დე	10.000	6.000	4.000	3.000	2.000
ბ. დამატებითი—თვითეულ შემდგომ 500.000°-ზე	2.000	2.000	2.000	2.000	2.000
პურეულისაგან არაყეულის გამომხდელი					
ა. ძირითადი 500.000°-დე	20.000	20.000	20.000	20.000	20.000
ბ. დამატებითი—თვითეულ შემდგომ 500.000°-ზე	4.000	4.000	4.000	4.000	4.000
საკონიაკო					
ხილეულ-ყურძნეულისაგან გამომხდელი					
ა. საკონტროლო იარაღიანი	4.800	4.800	4.800	4.800	4.800
ბ. ნორმეული	1.000	1.000	1.000	1.000	1.000
არაყისა	8.000	4.800	3.200	2.400	1.600

შენიშვნა: 500.000°-ზე ნაკლები გამოხდილი და რექტიფიკაცია ქმნილი სპირტი 500.000°-სად ჩაითვლება.

საბითუმო საწყობები:					
1. პურეულისა და ყურძნეულ ხილეულის სპირტისა	20.000	16.000	12.000	8.000	4.000
2. საკონიაკო სპირტისა და კონიაკისა	10.000	6.000	4.000	2.000	—
3. ყურძნის ღვინისა	10.000	7.000	6.000	5.000	4.000
4. ლუდისა	6.000	5.000	4.000	3.000	2.000

ბ. მაგარი სასმელების ცალობითი ვაჭრობისათვის.

ა. ვაჭრობა გამოტანით და არა ადგილობრივ დალევით.					
1. მაგარი სასმელების სარდაფი	20.000	16.000	12.000	8.000	4.000
2. ღვინის სარდაფი	16.000	12.000	8.000	6.000	—
3. ღვინის დუქანი	8.000	8.000	8.000	8.000	—
ბ. ვაჭრობა ადგილობრივ დალევით.					
1. რესტორანი (სასადილო) და სარკინიგზო ბუფეტი	40.000	30.000	24.000	16.000	12.000
2. ბუფეტი თეატრში, ცირკში და გემზე	6.000	5.000	4.000	3.000	2.000
3. დროებითი გამოფენა საღამოებზე, ბაზრებზე, სეირნობაზე და სხვ. (თვითეული დღის ვაჭრობისათვის)	2.000	1.200	8.00	6.00	4.00
გ. ადგილობრივი დალევა და გამოტანა.					
1. დუქნები	60.000	50.000	40.000	30.000	16.000
2. ლუდხანა	4.000	3.000	2.000	1.600	1.200
3. ლუდის დროებითი გამოფენა საღამოებზე, ბაზრებზე და სეირნობაზე (თვითეულის დღის ვაჭრობისათვის)	1.000	9.00	8.00	6.00	4.00

გ. თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის.

1. საბითუმო საწყობები ფოთოლ-თამბაქო ადგილობრივი და უცხოეთისა	6.000	5.000	4.000	4.000	4.000
2. საბითუმო საწყობები თამბაქოს ნაკეთობისა	20.000	16.000	12.000	8.000	8.000
3. ცალობითი ვაჭრობა სავაჭრო ადგილებში	10.000	8.000	6.000	5.000	4.000
4. ზიდვით და ტარებით	4.000	3.000	3.000	2.000	2.000

2. განაკვეთი ესე ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1-დან.

შენიშვნა: 1923 წლისათვის უკვე აღებული პატენტი უნდა დამატებით დაიბეგროს ახალისა და ძველი განაკვეთის განსხვავების რაოდენობით.

3. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლათ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში მყოფი საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა მიერ დღემდე ამა საგანზე გამოცემული ყოველი დადგენილება და განკარგულება გაუქმებულ იქნეს.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ბ. ტალიბლი.

დადგენილება № 16.

ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის საქართ. რწმუნებულის სამმართველოსი.

ზაფხულის თვეებში, სტუდენტ-აგრონომებს, პრაქტიკულ მუშაობის შესასრულებლად შვებულების მიცემის შესახებ.

1. 1923 წლ. ზაფხულის თვეებში პრაქტიკულ სამუშაოს შესასრულებლად, იმ სტუდენტ-აგრონომებს, რომლებიც მსახურობენ სახელმწიფო, ან კერძო დაწესებულება-წარმოებებში და აგრეთვე წითელ ლაშქარში—მიეცესთ შვებულება დღეიდან, ა. წ. 1-ლ ნოემბრამდე. ერთ დროულად ან პერიოდიულად, მაგრამ თითოეულს არა უმეტეს 75 დღისა.

2. შვებულების დროს სტუდენტ-აგრონომებს წარმოება-დაწესებულებებში შეუნახოთ სამსახური, შვებულებით გაცდენილ დღეებში ჯამაგირის მიუცემლად.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიზნისათვის შვებულების მისაღებად ყველა სტუდენტ-აგრონომი ვალდებულია წარმოება-დაწესებულებაში წარსადგენად აიღოს სასწავლებლის ადმინისტრაციისაგან მოწმობა, სადაც აღნიშნული უნდა იქნას მისი უფლება სავალდებულო პრაქტიკულ მუშაობაზე წასვლისა და ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დრო.

4. სასწავლებლიდან ასეთის მოწმობის წარდგენისათანავე წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა გაანთავისუფლოს სამსახურიდან თავის თანამშრომელი (სტუდენტ-აგრონომი) იმ ვადით, რომელიც ნაჩვენები იქნება სასწავლებლის მიერ მიცემულ მოწმობაში.

შენიშვნა. წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს შვებულებაზე უარი უთხრას სტუდენტ-აგრონომებს, თუ კი უკანასკნელნი სასწავლებლიდან არ წარმოადგენენ სათანადო მოწმობას.

5. შვებულების ვადის გათავებისთანავე, თუ სტუდენტ-აგრონომი სამსახურში თავის დროზე არ გამოცხადდა რაიმე არა პატივსადებ მიზეზების გამო და ამის თაობაზე ადმინისტრაცია წინასწარ არ გააფრთხილა, უკანასკნელს უფლება აქვს დაითხოვონ ის, რაიც უნდა ეცნობოს ა. კ. შრომის სახ. კომ. საქ. რწმუნებულის სამმართველოს.

6. დადგენილება ესე გავრცელდეს განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტებზე და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელებზე.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.

შეთანხმებულია: საქ. პროფ. კავ. საბჭოს მდივანი ს. ჯუღელი.

საერთო-საორგან. გან. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

17 მაისი 1923 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საარიცხვო-სასტატისტიკო ქვეგანყოფილება იწვევს 21 მაისს, დილის 9 საათზე, საარიცხვო-სასტატისტიკო ნაწილთა გამგეებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის ყველა უბნებიდან. მორიგ საკითხათ სდგას ყველა საარიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებათა საოლქო თათბირი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი ამით იუწყება, რომ მე-4 უბნის უჯრედების გამოსაკვლევად მის მიერ დანიშნულია შემდეგი პასუხისმგებელი ამხანაგები:

1. სოლოვიანი, 2. ხანოიანი, 3. ბახუტოვი, 4. პადერიანი, 5. შაგერდოვი, 6. იტრიევი, 7. პილასი, 8. მიხალოვი, 9. ორახელაშვილი მარიამ, 10. მიქაძე ა., 11. კონსტანიანი, 12. ქავთარაძე ლადო, 13. ვაშაკიძე ვ., 14. დიმანტი, 15. ესაიანი, 16. შაგერდოვა ს. 17. ქორიძე, 18 ნაზაროვი 19. ტალიბლი, 20. ვართაპეტოვი, 21. ტაკოევი, 22. ვინზბურგი, 23. მინასიანი არამ, 24. ჯანელიძე, 25. რასულ-ზადე 26. ქვანია ისაკა, 27. კალანდაძე გრ. 28. ენგელი, 29. აკოპოვი, 30. ვარაზეგელიანი, 31. ბალეტინი, 32. დივნოგორცევი, 33. ესსენი ა.: 34. ესსენი მ. 35. პენიაკოვი, 36. გურსკი, 37. რახმანი, 38. ოკუჯავა კოლა 39. ფილოვსკი, 40. ფირალოვი, 41 სოკოლოვსკი, 42. ავაქოვი, 43 იბანიანი.

ყველა დასახელებული ამხანაგები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სამშაბათს მე-4 უბნის ბინაზე (რუსთაველის პრ.—22) ინსტრუქციების მისაღებად.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენ.

განცხადებები

დღეს, 20 მაისს,

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 399 1—1

ურიის ქალი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ფოთის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი
სასწრაფოდ იწვევს სამსახურში

მთავარ ბუღალტერს

ბუღალტერიის ორმაგი იტალიური სისტემით მცოდნეს ქართულ ენაზე და გამოცდილს ქალაქის სამეურნეო საქმეებში.

მსურველს პირობებისათვის შეუძლია მიმართოს აღმასკომს პირადად, აგრეთვე წერილობით-ფოსტით და დეპეშით, ამასთანავე მანვე უნდა მოგვაწოდოს თავისი სამსახურის პირობებიც.

687—3—1 **აღმასკომის პრეზიდიუმი.**

---

27 მაისს დღის 12 საათზე

საბებიო და გინეკოლოგიურ ინსტიტუტის შენობაში
ლენინის ქუჩა № 50 (ყოფილი ოლღის ქუჩა)

შესდგება საზეიმო აქტი

საბებიო და გინეკოლოგიურ ინსტიტუტის 50 წლის არსებობის გამო (ყოფილი ამიერ-კავკასიის ოლღას საბებიო ინსტიტუტი).

დაწესებულებების, საზოგადოების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა მისალმებებში, ვთხოვთ წინდაწინ გაგვაგებინონ ამის შესახებ ინსტიტუტის კანცელარიაში 9—12 საათამდე ყოველ დღე.

(617 1—1) **საიუბილეო კომისია.**

ამიერ-კავკასიის
ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნებული
საქართველოში

აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ თანახმად აჭარისტანის სახალხო მოსამართლეთა საბჭოს დადგენილებისა მიმდინარე წლის 12|13 აპრილიდან ფირმა ,,სოსიფროსის'' დაჯარიმებულია საღერბო წესდების დარღვევისათვის 259,283 მანეთი ოქროთი, რაზედაც ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს მიცემული აქვს აღმასრულებელი ფურცელი № 473 განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ზემოაღნიშნულისა გამო ა. კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის სამმართველო მოიწვევს ფირმა ,,სოსიფროსის'' ყველა დებიტორებს არ გაუსწორონ ამ ფირმას ანგარიში, არამედ მათი ხვედრი თანხა შეიტანონ რესპუბლიკის ხაზინაში საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დეპოზიტში.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში:
ბ. ბიბინეიშვილი.
გადასახადთა განყოფილების მმართველის მოადგილე:
ა. ბეჟირგანიშვილი.

ამიერ-კავკასიის
ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნებული
საქართველოში

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ქ. ბათომში დაკავებულია სხვა და სხვა ქონება ფირმა ,,სოსიფროსისა'', რომელიც დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გასასყიდად. დღე ვაჭრობისა იქნება გამოცხადებული ცალკე. სია დაკავებულ ქონებისა ინახება პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილებაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 7) და მსურველთ შეუძლიათ სიის დათვალიერება ყოველ დღე 10—3 საათამდე გარდა უქმე დღეებისა.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში:
ბ. ბიბინეიშვილი.
გადასახადთა განყოფილების მმართველის მოადგილე:
ა. ბეჟირგანიშვილი.

ს. ს. ს. ჯანმრთელ. სახ. კომისარიატი
მთავარ საკურორტო სამმართველო

ტფილისი, საპიორის ქუჩა № 30, ტელ. № 10-19,

საქართველოს სახელმწიფო ყველა კურორტებზე მსურველებს შეუძლიან მიიღონ ქირით ოთახები. საგარაკო ოთახები დაყოფილია სამ კატეგორიათ: **ოთახები 1-ლ კატეგორიის შეფასებულია მთელი სეზონის განმავლობაში თითო კვადრატიული არშინი 80 კაპ. ოქროთი, მე-2 კატეგორიის—60 კაპ. ოქროთი და მე-3—40 კაპ. ოქროთი. პროფკავშირების წევრებს ეძლევათ შეღავათი 50 პრ. დაკლებით.** ყველას ოთახები ეძლევათ უავეჯულოთ. (წაღვერში, ბორჯომში და მანგლისში თავისუფალი ოთახები არ არის) მსურველებს შემოაქვთ განცხადებები მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობის ბიუროს განყოფილებაში 100.000 მან. სადერბო მარკის გადახდით სამუშაო დღეებში 12 საათიდან 2 საათამდე დღისა.

განცხადებანი მიიღება 10 ივნისამდე.

(კრ. 3974 3—1)

ს. ს. ს. რ ჯ. სახ. კომ.
მთავარი საკურორტო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ საქართველოს სანატორიუმების მოსაწყობათ საჭიროა 200 კომპლექტამდის საწოლების მოწყობილობა, როგორც, მაგალითად, ლოგინები, (კრაოტები), მატრაცები, საბნები და სხ. აგრეთვე სანატორიუმებისათვის საჭიროა ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და საქიმო ნივთები, მაგალითად, ლამფები, თეფშები, კოვზები, დანა-ჩანგალი, ტერმომეტრები, ,,შპრიცები'' და სხ.

პირთ, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნული ნივთების მოწოდება, უნდა წარმოადგინონ ნიმუშები გადაჭრილი ფასებით და რაოდენობის აღნიშვნით მთავარ საკურორტო სამმართველოში.

საპიორის ქუჩა, № 30, ტელ. № 10—19. (კრ. 398 1—1)

განცხადება

მდ. რიონის ჩრდილოეთ ტოტზე, ქ. ფოთში, შენდება ორმოცდა ათი საჟენიანი რკინა-ბეტონის ხიდი.

66 მარგილიდან (ბოძი) ოცდა ათი ჩასობილია წყალში, ამა მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს მთელი მუშაობა საიჯარო წესით.

ფოთის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

იწვევს

ამ ხიდის გამკეთებელ მოიჯარადრეს

კონდიციების და ყოველივე პირობების განხილვა მსურველს შეუძლია ფოთის აღმასკომში ყოველდღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა უქმე დღეებისა.

№ 687 (3—1 **აღმასკომის პრეზიდიუმი.**

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი
ფოსტისა და მგზავრების გადასაზიდათ

მანგლისში ა. წ. 20 მაისიდან

აწყობს ნახევრად საბარგო

ავტომობილით „ფიატ“-ით
მიმოსვლას.

რომელიც დაიტევს 15 კაცს.

ავტომობილი თბილისიდან გავა ორჯერ კვირაში კვირაობით და ოთხშაბათობით.

დაბრუნდება იმავე დღეებში ნაშუადღევს 4 საათზე.

სამგზავრო ბილეთის წინასწარ შეძენა შეიძლება თბილისში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ოლღას ქ. № 3, სამუშაო დღეებში დილის 9 საათიდან 2 საათამდე და ნაშუადღევს 4 საათიდან საღამოს 6 საათამდე,

უქმე დღეებში კი დილის 9 საათიდან 11 საათამდე და მანგლისში და კოჯორში ერთი საათით ადრე ავტომობილის წამოსვლამდე.

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

ი. ფ. პალატნიკოვის

ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

(15—6) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (601—25—4)

დაიკარგა უვადო პასპორტი მიხეილ იაგორის ძე კალანტაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 689 1—1

დაიკარგა საარიცხვო ქაღალდი ქრისტეფორე ყანდარელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 688 1—1

დაიკარგა პასპორტი მიხეილ ეგორის ძე კალანტაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული ახალ-ქალაქის მილიციის სამმართველოდან, გენო ალექსანდრეს ძე დონგოზიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილება № 28

15 მაისი, 1923 წ.

იმ მიზნით, რათა ეხლა არსებულ ზომის რუსულ სისტემიდან საერთაშორისო მეტრიულ სისტემაზე გადასვლა მოხდეს წარმატებით და დაჩქარებით, ს. ს. ს. რ. სახ. მეურ. უმ. საბჭო, საბჭოთა საქ. მთავრობის ა. წ. 31 იანვრის № 91 დეკრეტის თანახმად, ადგენს:

1. მოხდეს სწორი რეგისტრაცია ყველა სისტემის წონის და ზომის, ერთეულების, რომლებიც ხმარებაშია კერძო, საზოგადო და მთავრობის დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, წარმოებებში, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, რომლებიც კი მოიპოვებიან საბჭოთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. რეგისტრაციის გასაადვილებლად და წარმატებით ჩასატარებლად საბჭოთა საქართველოს ყველა რაიონებიდან შეიქმნეს ხუთი ჯგუფი შემდეგი პუნქტებით:

პირველი ჯგუფი: 1) ტფილისის (გარდა ქალ. ტფილისისა) და ბორჩალოს მაზრები.

შენიშვნა: ქ. ტფილისი გამოყოფილია ცალკე, სახალხო მეურნეობის უმ. ს. № 24 დადგენილების თანახმად.

2) ქალაქები: ბათომი, ქობულეთი და ოზურგეთი მაზრებით.

3) ქ. ფოთი, ახალ-სენაკი, ზუგდიდი მაზრებით.

მეორე ჯგუფი: 1) ქ. ქუთაისი, სამტრედია, ხონი და ტყვიბულით მაზრებით.

2) ქ. ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა მაზრებით.

მესამე ჯგუფი: 1) ქ. გორი, ცხინვალი, ხაშური, სურამი.

2) ქ. ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი—მაზრებით.

მეოთხე ჯგუფი: 1) ქ. თელავი და სიღნაღი მაზრებით.

2) ქ. თიანეთი და დუშეთი მაზრებით.

მეხუთე ჯგუფი: 1) ლეჩხუმის მაზრა. 2) რაჭის მაზრა.

3. თვითეულ ჩამოთვლილ რაიონში რეგისტრაციას ხელმძღვანელობს წონისა და ზომის მთავარი პალატის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი ან სხვა პირი, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით იქნება დანიშნული პრეზიდიუმის მიერ.

4. ადგილობრივი კომუნალური და ეკონომიური განყოფილებანი რეგისტრაციის ნაყოფიერად და სასწრაფოდ ჩატარებას უწევენ ყოველგვარ დახმარებას, მიუჩენენ თავის დროზე სარეგისტრაციო კომისიას სათანადო შენობას, აწოდებენ ცნობებს მცხოვრებთა შესახებ და სხვ.

5. პირველ მუხლში ჩამოთვლილი დაწესებულებები, ორგანიზაციები, სავაჭრო-სამრეწველო წარმოებანი და დაწესებულებანი ადგენენ რეგისტრაციის დროს შემდეგ ცნობებს:

ა) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების პატრონის სახელს, მამის სახელს და გვარს და სხვ., ან ფირმის, ორგანიზაციის ან დაწესებულების სახელწოდებას.

ბ) წარმოების, სავაჭროს და სხვ. სწორ მისამართს.

გ) ვაჭრობის სახეს.

დ) სავაჭროს ხარისხს.

ე) არსებულ ზომების და წონების რაოდენობას, ამავე დროს აღნიშნული უნდა იყოს სისწორით გირის წონა, სასწორის ამწევი ძალა, შკალების რაოდენობა მასზე აღნიშნული წონით, სასწორის სახე, აგრეთვე სხვა ზომების სიგრძე, მოცულობა და სხვ.

6. დადგენილების ადგილებზე ჩატარების ვადა, წესი და რიგი უნდა შეიმუშავოს საბჭ. საქართველოს ზომის და წონის მთავარმა პალატამ.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **ვ. ავაქოვი.**
შინაგან საქ. სახალხო კომისრის მოადგილე: **ტალახაძე.**
ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი: **ხვიმონიშვილი.**

კრ. 400—1—1

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საგამოფენო
კომიტეტი
აცხადებს,

რომ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს ყვავილნარში შეიძლება გამოფენილ იქნეს კერძო ექსპონატებიც

შემუშავებულ წესების თანახმად.

ექსპონატები შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობენ რკინის გზებზე. გამოფენაზე მათ საქონლის ნიმუშების მნიშვნელობა აქვთ და შესაძლებელია გაყიდულ იქნან ექსპონატების მეპატრონეთა მიერ.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ ყველა საკითხების შესახებ უნდა მიმართონ: საქართველოს საგამოფენო კომიტეტი, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შენობა (ყვანგულოვის ქუჩა) მე-2 სართული, ოთახი № 81, ტელეფ. 13—05.

(კრ. 396—2—1)